ᲦᲘᲠᲡᲨᲔᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘᲐ ᲮᲔᲚᲨᲔᲙᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲡ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲢᲛᲝᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ, ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲣᲠ ᲡᲘᲕᲠᲪᲔᲨᲘ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲥᲕᲔᲨᲘ

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 44-Ე ᲬᲚᲘᲡ № 182 (12694) | ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 6 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ, 1963 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ

5 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ კრემლის დიდი სასახლის გიორგის დარბაზში გამართა დარბაზობა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის გამო.

დარბაზობაზე იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დინ რასკი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი ჰიუმი, აგრეთვე ოფიციალური პირები, რომლებიც ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან და დიდი ბრიტანეთიდან.

სტუმართა შორის იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი.

საბჭოთა კავშირის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ნ. ვ. პოდგორნი, ლ. ნ. ეფრემოვი, ვ. პ. მჟავანაძე, ი. ვ. ანდროპოვი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და სხვა ოფიციალური პირები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

დარბაზობაში იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის პრესის, რადიოს, ტელევიზიის, კინოქრონიკის მრავალი კორესპონდენტი, აგრეთვე უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენლები.

დარბაზობის მონაწილეებს სიტყვით მიმართა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ მივესალმო აქ მყოფ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ბ-ნ რასკს, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ლორდ ჰიუმსა და მათ თანმხლებ პირებს. მინდა მივესალმო აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს უ ტანს, რომელიც მოსკოვში ჩამოვიდა.

დღეს მოხდა ღირსშესანიშნავი მოვლენა — ხელმოწერილია ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ. ეს ხელშეკრულება დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტია, და მისი დადება ნიშნავს ყველა კეთილი ნების ადამიანის დიდ წარმატებას, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში აქტიურ ბრძოლას აწარმოებდნენ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისათვის, განიარაღებისათვის, მშვიდობისა და ხალხთა შეგობრობისათვის.

ჩვენ გვინდა ჯეროვნად ვცეთ პატივი ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებსაც, რომლებმაც გამოიჩინეს მზადყოფნა მიეღწიათ შეთანხმებისათვის ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ და მიიღეს წინადადება, რომელიც საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა. გვინდა აგრეთვე მივულოცოთ მუშაობის წარმატებით დამთავრება მოლაპარაკების მონაწილეებს, რომელიც ამ საკითხზე გაიმართა მოსკოვში.

ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოვაწერეთ, მოწოდებულია ბოლო მოუღოს ატომურ და წყალბადის აფეთქებათა ექსპერიმენტებს ატმოსფეროში, კოსმოსში და წყალქვეშ. ალარ უნდა ავარდეს ცაში ატომურ აფეთქებათა სოკოსებრი ღრუბლები, საიდანაც ცვივა მომაკვდინებელი რადიაქტიური ნალექი, რომელსაც შეუძლია ზიანი მიაყენოს ადამიანთა ჯანმრთელობას, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ცოცხალთა და მცენარეულთა სამყაროს.

უკვე მარტო ეს მოწმობს, რომ ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ შეესაბამება ყველა ხალხის საარსებო ინტერესებს და მას მოწონებითა და სიხარულით შეხვდა მილიონობით ადამიანი, ევროპისა და ამერიკის, აფრიკისა და აზიის ბევრი სახელმწიფოს მთავრობებმა უკვე განაცხადეს, რომ აქვთ სურვილი და მზად არიან აგრეთვე ხელი მოაწერონ ხელშეკრულებას ან შეუერთდნენ მას. ახლა ყველა კონტინენტზე თითქოს რეფერენდუმი მიმდინარეობს, და მისი შედეგები უკვე ცნობილია: მსოფლიოს ხალხებმა მტკიცედ დაუჭირეს მხარი ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.

გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენს მიერ დადებული ხელშეკრულება დადებით გავლენას მოახდენს აგრეთვე საერთაშორისო კლიმატზე, სახელმწიფოთა ურთიერთობაზე. ხალხები მადლობელი არიან იმ პირველი ნაბიჯისათვის, რომელიც გადაიდგა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიმართულებით. გაჩნდა საერთაშორისო ნდობის პირველი ყლორტები, და საბჭოთა მთავრობა კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს, რათა ეს ყლორტები მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს.

რა თქმა უნდა, ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტა არ ნიშნავს განიარაღებას და ვერც კი შეაჩერებს სახელმწიფოების მიერ ატომური იარაღის სულ უფრო მეტი და მეტი მარაგის დაგროვების პროცესს. მაშასადამე, თერმოატომური ომის საფრთხე ამ ხელშეკრულებით არ მოსპობილა. ეს საშიშროება კვლავაც დაემუქრება კაცობრიობას, სანამ გრძელდება გამალებული შეიარაღება. ცხადია, რომ გადაუჭრელი რჩება ბევრი დიდმნიშვნელოვანი პრობლემა.

ალბათ, არც ერთი აქ დამსწრე ს[illegible]ავოდ არ გახდის იმ უეჭველ ისტორიულ ფაქტს, რომ თანამედროვე მსოფლიოში არსებობს ორი დაპირისპირებული სოციალური სისტემა. თქვენ, ბატონო დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებო, არ მოგწონთ ჩვენი სოციალისტური წყობილება. ჩვენ ვგმობთ წესწყობილებას, რომელიც თქვენს ქვეყნებშია, ღრმად გვწამს სოციალიზმის, კომუნიზმის უპირატესობანი და არ ვმალავთ ამ რწმენას. ვერავითარი ხელშეკრულება და შეთანხმება სახელმწიფოებს შორის ვერ აღმოფხვრის ძირეულ წინააღმდეგობებს, რომლებიც არის ორ არსებულ სოციალურ სისტემას შორის. მაგრამ ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, მტკიცედ ვუჭერთ მხარს იმას, რომ სოციალური, კლასობრივი საკითხები, შინაგანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების საკითხები გადაიჭრას არა ომის გზით სახელმწიფოთა შორის, არამედ თვითეული ქვეყნის ხალხების მიერ გარედან ჩაურევლად.

მე უკვე არაერთხელ მითქვამს და ახლაც მინდა გავიმეორო: ახლანდელ პირობებში საკითხი ასე დგას — ან მშვიდობიანი თანაარსებობა, ან მსოფლიო თერმოატომური ომი. საბჭოთა კავშირი მტკიცედ დგას სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პოზიციებზე. ამიტომ მოვითხოვდით და მოვითხოვთ მოლაპარაკების გზით გადაიჭრას მომწიფებული პრობლემები, რომლებიც წარმოიშობან სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ახლა ყველაზე მთავარია არ დავჯერდეთ მიღწეულს, არ შევწყვიტოთ ბრძოლა ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მთელი მსოფლიოს მტკიცე მშვიდობისათვის. ხალხები მოელიან საყოველთაო და სრული განიარაღების საკითხის გადაჭრას, ჯერმანიის პრობლემის მოწესრიგებას, სხვა მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას.

წარმატება, რომელიც მოსკოვის მოლაპარაკებაზეა მოპოვებული, უნდა განვავითაროთ. შემდეგი ნაბიჯი, რომელიც, ჩვენი აზრით, უნდა გადაიდგას, არის თავდაუსხმელობის პაქტის დადება. ნატოს მონაწილე სახელმწიფოებსა და ვარშავის ხელშეკრულებაში შემავალ ქვეყნებს შორის ასეთი პაქტის დადება დაანახვებდა ყველა ხალხს, რომ სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე ძლიერმა სახელმწიფოებმა, და უწინარეს ყოვლისა ატომურმა სახელმწიფოებმა, მიაღწიეს ერთმანეთში შეთანხმებას თერმოატომური ომის თავიდან აცილების მიზნით. ეჭვი არ არის, რომ ყველა ხალხი მიესალმებოდა ასეთი შეთანხმების მიღწევას.

შეიძლება დავასახელოთ მთელი რიგი კონკრეტული პრობლემები, რომლთა მოწესრიგება შესაძლებელია უკვე უახლოეს მომავალში. ისინი ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს უკანასკნელ დროს.

რა თქმა უნდა, თავისთავად ასეთი ცალკეული ღონისძიებანი ვერ უზრუნველყოფენ მტკიცე მშვიდობას, მაგრამ ისინი ხელს შეგვიწყობენ წავიდეთ კიდევ უფრო წინ ქვეყნად მშვიდობის განმტკიცების გზით.

ერთხელ კიდევ მინდა გამოვთქვა საბჭოთა მთავრობის გულწრფელი კმაყოფილება ხელშეკრულების ხელმოწერის გამო. ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვა კეთილი საქმეა მთელი კაცობრიობისათვის.

მინდა მადლობა ვუძღვნა მსოფლიოს ყველა მთავრობას, რომლებიც მხარს უჭერენ ამ ხელშეკრულებას. მინდა აგრეთვე მადლობა ვუძღვნა ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას, ყველა კეთილი ნების ადამიანს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის.

ნება მიბოძეთ წარმოვთქვა მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის სადღეგრძელო!

იდღეგრძელეთ, ქალბატონებო და ბატონებო!

* * *

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა დიდი ყურადღებით მოისმინეს. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმა მქუხარე ტაში.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ გითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ᲡᲐᲣᲖᲛᲔ ᲙᲠᲔᲛᲚᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ

5 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში გამართა საუზმე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დინ რასკის, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლორდ ჰიუმის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ ტანის, აგრეთვე მათი თანმხლები ოფიციალური პირების პატივსაცემად, რომლებიც ჩამოვიდნენ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით.

საუზმის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ გითარებაში ჩაიარა, ნ. ს. ხრუშჩოვმა, დინ რასკმა, ლორდმა ჰიუმმა და უ ტანმა წარმოთქვეს სადღეგრძელოები.

Ნ. Ს ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲛᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ Დ. ᲠᲐᲡᲙᲘ, ᲚᲝᲠᲓᲘ ᲰᲘᲣᲛᲘ ᲓᲐ U ᲢᲐᲜᲘ

ᲡᲡᲠ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა 5 აგვისტოს კრემლში მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დინ რასკი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი ჰიუმი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი. (საკდესი).

ᲕᲘᲖᲘᲢᲐᲓ Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝᲡᲗᲐᲜ

5 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ დილით სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს ეწვივნენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დინ რასკი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი ჰიუმი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი. (საკდესი).

Კ Ო Მ Უ Ნ Ი Კ Ე

5 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ბ-ნმა რასკმა და ბრიტანეთის მისი უდიდებულესობის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა ჰიუმმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

ხელშეკრულების ხელმოწერას დაესწრო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი, რომელიც მოიწვია ხელშეკრულების ხელმომწერმა სამმა მთავრობამ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მხრივ ხელმოწერას დაესწრნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, ამხანაგები ა. პ. კირილენკო, ნ. ვ. პოდგორნი, ლ. ნ. ეფრემოვი, ვ. პ. მჟავანაძე, ი. ვ. ანდროპოვი, ლ. თ. ილიჩოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები დ. თ. უსტინოვი, პ. ფ. ლომაკო, ი. ტ. ნოვიკოვი და კ. ნ. რუდნევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები ა. მ. პეტროსიანცი და ვ. ე. სემიჩასტნი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ვ. ვ. კუზნეცოვი და ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი ს. კ. ცარაპკინი, საბჭოთა კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. თ. დობრინინი, საბჭოთა კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ა. ა. სოლდატოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები მ. ნ. სმირნოვსკი, გ. ი. ტუნკინი, ლ. მ. ზამიატინი, თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეორე განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ზ. ვ. მირონოვა.

ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ ხელმოწერას დაესწრნენ ფრიად პატივცემული ედლაი სტივენსონი — ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ფრიად პატივცემული სენატორები ჯორჯ დ. აიკენი, ჯეიმს უ ფულბრაიტი, ლეოვერეტ სალტონსტოლი, ჯონ ჯ. სპარკმენი, ჰუბერტ გ. ჰემფრი, ჯონ ო. პასტორე, უილიამ ჩ. ფოსტერი — განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის სააგენტოს დირექტორი, გლენ ტ. სიბორგი — ატომური ენერგიის კომისიის თავმჯდომარე, ლუელინ ტომპსონი — განსაკუთრებულ დავალებათა ელჩი, არტურ დინი — განიარაღებისა და შეიარაღებისადმი კონტროლის სააგენტოს კონსულტანტი, ფოი დ. კოლერი — ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში;

შეერთებული სამეფოს მხრივ ხელმოწერას დაესწრნენ ფრიად პატივცემული ედვარდ ჰიტი — ბეჭდის მცველი ლორდი, ბ-ნი პიტერ თომასი — სახელმწიფო მინისტრი, სერი ჰაროლდ კაჩია — საგარეო საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე, სერი ჰამფრი ტრეველიანი — ბრიტანეთის მისი უდიდებულესობის ელჩი მოსკოვში.

ხელშეკრულებას, რომელიც შედგენილია სამ ორიგინალურ და იდენტურ ცალად რუსულ და ინგლისურ ენებზე, ერთსა და იმავე დროს ხელი მოაწერეს ა. ა. გრომიკომ, ბ-ნმა რასკმა და ლორდმა ჰიუმმა. ხელშეკრულების ხელმომწერებმა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა წარმოთქვეს მოკლე სიტყვები, რომლებიც ცალკე ქვეყნდება.

სამი მთავრობა, რომლებმაც ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ, შეთანხმდა, რომ ეს ხელშეკრულება დიდმნიშვნელოვანი თავდაპირველი ნაბიჯია საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცების გზაზე, და გამოთქვა იმედი, რომ ამ მიმართულებით მიღწეულ იქნება შემდგომი პროგრესი.

სამმა მთავრობამ გამოთქვა იმედი, რომ ამ ხელშეკრულებას შეუერთდებიან სხვა სახელმწიფოები. ისინი თავის მხრივ საჭირო ღონისძიებებს განახორციელებენ ხელშეკრულების უსწრაფესად რატიფიკაციისათვის მათი კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად.

მიღწეულია შეთანხმება, რომ ხელშეკრულება ღია იქნება ხელმოსაწერად სამივე დედაქალაქში 8 აგვისტოდან.

ხელშეკრულების ხელმოწერას დაესწრო საბჭოთა და უცხოეთის პრესის, რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის მრავალი წარმომადგენელი.

Ა. Ა. ᲒᲠᲝᲛᲘᲙᲝᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ამხანაგებო!

ბატონებო!

ხელს რომ ვაწერ საბჭოთა მთავრობის დავალებით ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ, ნება მიბოძეთ გმოვთქვა კმაყოფილება ამ ხელშეკრულების დადების გამო.

საბჭოთა კავშირი უკვე მრავალი წლის მანძილზე იბრძვის ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისათვის. ახლა ეს საკითხი გადაიჭრა სამ გარემოში — ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ ატომურ აფეთქებათა აკრძალვის მიმართ. საბჭოთა მთავრობას ეს მიაჩნია საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკის წარმატებად, ყველა სახელმწიფოს წარმატებად, რომლებიც იბრძვიან ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის, მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის.

ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების დადება დასახავს სხვა, კიდევ უფრო დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების, მათ შორის განიარაღების პრობლემის გადაჭრის გზას. საბჭოთა მთავრობა, თავის მხრივ, კვლავაც ყოველ ღონეს იხმარს მომწიფებული საერთაშორისო საკითხების, მათ შორის ევროპის უშიშროების საკითხების უსწრაფესად გადაჭრისათვის.

ნება მიბოძეთ აქ საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვისა და საბჭოთა კავშირის სხვა ხელმძღვანელ სახელმწიფო მოღვაწეთა თანდასწრებით მივულოცო ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების დადება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ბ-ნ დ. რასკსა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ლორდ ჰიუმს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას თავიანთ მთავრობათა სახელით, ნება მიბოძეთ აგრეთვე მივულოცო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ბ-ნ უ ტანს, რომლის მეცადინეობა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლის საქმეში კარგად არის ცნობილი.

დასასრულ მინდა წარმოვთქვა სადღეგრძელო მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის.

ᲓᲘᲜ ᲠᲐᲡᲙᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ბატონო თავმჯდომარე, ბატონებო!

დღეს ჩვენმა სამმა მთავრობამ გააკეთა ის, რაც, როგორც კაცობრიობა იმედოვნებს, იქნება პირველი ნაბიჯი მთელი მსოფლიოს უშიშროებისა და მშვიდობის უზრუნველყოფის გზაზე. ხელშეკრულება, რომელსაც დღეს მოვაწერეთ ხელი, კარგი პირველი ნაბიჯია, რომლის განხორციელებაზე შეერთებული შტატები ისე დიდხანს და ასე გულწრფელად ამყარებდნენ იმედს. მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. იგი არ სპობს ატომური ომის საფრთხეს. მას არ მოუვლებს ატომური იარაღის მარაგის შემცირება. იგი ბოლოს არ უღებს ატომური იარაღის წარმოებას. იგი არ ზღუდავს ასეთი იარაღის გამოყენებას ომის პირობებში.

ამიტომ არ შეგვიძლია უკვე ახლა მტკიცედ ვთქვათ, რა მნიშვნელობა ექნება ამ აქტს. ისტორიაში თავის დროზე ჩაიწერება, როგორ ვწყვეტთ მშვიდობის უზრუნველყოფის პრობლემას, რომელიც ჯერ კიდევ დაუმთავრებელი საქმეა. მაგრამ თითოეულ ჩვენს მთავრობას შეუძლია დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ომის განსაზღვრაში, თუ რას დაწერენ მომავლის ისტორიკოსები, და შეასრულებს კიდევაც ამ როლს.

თითოეული ჩვენგანის პოლიტიკის, პოზიციისა და მოქმედების მიხედვით ეს ნაბიჯი შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში შეიძლება პირველი და ერთადერთი ან მრავალთაგან პირველი იყოს. თუ ჩვენ სხვა ქვეყნებთან ერთად დავიცავთ კურსს, რომლის მიზანია უზრუნველყოს ის, რომ წინსვლის ძალას, რასაც ეს შეთანხმება წარმოშობს, განამტკიცებდეს შემდეგი ღონისძიებები, მაშინ ადამიანის მიერ მშვიდობის იმედით აღსავსე ძიება ალარ იქნება მხოლოდ ოცნება და რეალობად გადაიქცევა.

ამრიგად, შეერთებული შტატების პრეზიდენტმა დამავალა ხელი მოვაწერო დღეს ამ ხელშეკრულებას, რაც დიდი სიამოვნებით შევასრულე, სანამ იგი წარედგინება განსახილველად ჩვენს სენატს ჩვენი კონსტიტუციური სისტემის შესაბამისად.

უფრო ფართო აზრით ამ ხელშეკრულების ხელმოწერა აცაბავს იმას, რომ შეერთებული შტატები მზად არიან გაერთიანდნენ ხელშეკრულების დანარჩენ ორ თავდაპირველ მონაწილესთან, აგრეთვე სხვა ქვეყნებთან მიზანსწრაფულ და მუდმივ მეცადინეობაში იმ პრაქტიკულ საშუალებათა გამოძებნის მიზნით, რომელთა მეოხებით შესაძლებელი იქნება შევამციროთ დაძაბულობა და მოვაშოროთ ჩვენს ხალხებს გამალებული შეიარაღების ტვირთი.

ამიტომ ჩვენთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ გენერალური მდივანი უ ტანი დათანხმდა ჩვენს თხოვნას ყოფილიყო აქ დღეგრძელი მოვლენის გამო.

ძალზე მოხარული ვარ მხარი დავუჭირო ბატონ გრომიკოს სადღეგრძელოს მშვიდობისათვის.

ᲚᲝᲠᲓ ᲰᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

ბატონო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეგ!

თქვენო ექსტაბულებულნო!

ქალბატონებო და ბატონებო!

მე, როგორც დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელს, დიდ სიხარულს მანიჭებს შევუერთდე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს გრომიკოსა და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს რასკს და ხელი მოვაწერო ხელშეკრულებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.

ეს, ჩემი შეხედულებით, დიდი მოვლენაა ყველა ჩვენგანისათვის, საბჭოთა ხალხისათვის, ამერიკელი ხალხისათვის, ინგლისელი ხალხისათვის და, როგორც ამას მოწმობს ის, რომ ჩვენს შორის იმყოფება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი, მსოფლიოს ყველა ხალხისათვის.

რატომ არის ეს ესოდენ დიდი მოვლენა?

მე მინდა დავასახელო სამი მიზეზი.

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ამირიდან თითოეულ ოჯახს მთელ მსოფლიოში შეუძლია იმედი ჰქონდეს, რომ თავისუფალია შიშისაგან, რომ ჯერ არშობილი ბავშვების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის ბაერის მოწამვლა თვით ადამიანის მიერ.

მეორე იმიტომ, რომ ეს ხელშეკრულება, თუმცა თავისთავად გამიარაღების აქტი არ არის, სინამდვილეში აფერხებს გამალებულ შეიარაღებას ატომური იარაღის დარგში, რომლის მორიგ ტურს, როგორც ყველამ ვიცით, მოჰყვებოდა როგორც მატერიალური რესურსების, ისე ადამიანთა ტალანტების კოლოსალური დანაკარგი. ახლა კი შესაძლებლობა გვეძლევა ისე გამოვიყენოთ ჩვენი უზარმაზარი რესურსები, რომ კაცობრობამ მეტი სიუხვის პირობებში იცხოვროს.

მესამე, და რაც, უნდა ითქვას, ყველაზე დიდმნიშვნელოვანია, ეს ხელშეკრულება, თუ ჩვენი ხალხები და ჩვენი მთავრობანი მთელ ძალღონეს მოახმარენ ამ მიზნების მიღწევას, მოახერხებს იმ დიდ წინგადადგმულ ნაბიჯს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში, რომელსაც ასე დიდი ხანია მოელის მთელი მსოფლიო, — შეგნებულ სტარტს ექვსა და უნდობლობის კედლების ნგრევაში, რომლებიც ხელს უშლიდნენ ჩვენს მეცადინეობას მშვიდობის უზრუნველყოფისათვის; სტარტს ნდობისა და კეთილმოსურნეობის ახალი ურთიერთობის შექმნის მიმართულებით.

რატომ არის, შეგიძლიათ იკითხოთ თქვენ, რომ, თუ ჯერ კიდევ გუშინ იგრძნობოდა მოშლილობა და თითქმის სასოწარკვეთილება, დღეს უნდა გვქონდეს საფუძველი ოპტიმიზმისა და იმედისათვის? ერთი მთავარი მიზეზის გამო. იმიტომ, რომ ყველა ჩვენი პასუხისმგებელი ხელმძღვანელი როგორც საბჭოთა კავშირში, ისე დასავლეთში, დარწმუნდა, რომ დიდი ომი წარმოუდგენელია ატომურ საუკუნეში, და, მაშასადამე, ძალით დამუქრება, ან ძალის გამოყენება სწორი არ იქნებოდა. მინდა ვიფიქრო, რომ ასეთი დასკვნა გამომდინარეობს იქიდან, რომ კაცობრიობამ უკუაგდო აზროვნებისა და მოქმედების ძველი ჩვეულები. დროთა განმავლობაში, ჩვენ, ალბათ, ახეც მოვიქცევით. ჯერჯერობით კი ვფიქრობ, ეს იმიტომ არის, რომ ატომურმა ბომბმა თავს მოგვახვია ის დისციპლინა, რომელიც თავს უნდა მოეხვია თვით დისციპლინას.

როგორც უნდა იყოს, დაე ჩვენმა ქვეყნებმა და მთელი მსოფლიოს ქვეყნებმა გაითვალისწინონ, რომ ომი მოძველდა, ეცადონ გულმოდგინედ გამოძებნონ საშუალებანი, რათა ძველი უნაყოფო ცივი ომი, რომელსაც საფუძვლად ედო ძველი მოდის წარმოდგენანი კონფლიქტის გარდუვალობის შესახებ, გადააქციონ ნამდვილ მშვიდობად, რომელსაც საფუძვლად დაედება იმ მარტივი ჭეშმარიტების აღიარება, რომ ყველა ადამიანი ერთმანეთის ძმაა.

ეს მოითხოვს დროსა და მძიმე მუშაობას. არ არსებობს მოკლე გზები. სწრაფი შედეგები არ იქნება. მაგრამ, მოდით, გავიხსენოთ ძველი იგავ-არაკი კურდღლისა და კუს შეჯიბრების შესახებ: ბოლოს და ბოლოს მოიგო კუმ, რადგან, თუმცა ნელა მიძრაობდა, იცოდა სად მიდიოდა და ცდილობდა არ გადაეხვია მიზნისათვის.

ეს დასაწყისია, როგორც თქვა ბატონმა რასკმა, მაგრამ მხოლოდ დასაწყისი. მაგრამ, მოდით, გავიხსენოთ აგრეთვე ერთი დიდი ინგლისელი მოგზაურის შემდეგი სიტყვები: „რომელიმე დიდი მეცადინეობის დასაწყისი კი არ არის ჭეშმარიტი დიდება, არამედ ამ მეცადინეობის განგრძობა და დამთავრება“. მე ჩემი მთავრობის სახელით ამ სულისკვეთებით მოვაწერე ხელი ჩვენს მიერ დაწყებულ საქმეს.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲛᲔ-2 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ)

მოსკოვი, კრემლი, 1963 წლის 5 აგვისტო. ხელშეკრულების ხელმოწერა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

უსჯლაბინსკელთა გამარჯვება

ქრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსს ამხ. პ. კ. ჩაიკინს

საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანს ამხ. ა. ა. პახომოვს

უსტ-ლაბინსკის რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ამხ. ა. ს. ბელოხონოვს

საწარმოო სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივანს ამხ. ვ. ა. ფრემბიცკის

საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, უსტ-ლაბინსკის საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დიდი კმაყოფილებით შეიტყეს, რომ თქვენ — 1966 წელს მარცვლეულის წარმოებისა და მეცხოველეობის პროდუქტების გადიდებისათვის სრულიად საკავშირო შეჯიბრების ინიციატორებმა შესანიშნავი შრომითი გამარჯვება მოიპოვეთ — წარმატებით შეასრულეთ მარცვლეულის წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი.

უსტ-ლაბინსკის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მიმდინარე წელს თავთავიანი კულტურების კარგი მოსავალი მოიყვანეს — სამუალოდ ჰექტარზე 36,5 ცენტნერი, ანუ ნაკისრ ვალდებულებაზე 4,5 ცენტნერით მეტი. ყვავის აგრეთვე სიმინდის კარგი მოსავალი. ჩვენი სამშობლოს ბეღლებმა თქვენგან უკვე მიიღეს 15 მილიონ 450 ათასი ფუთი პური, ანუ წინათ ნაკისრ ვალდებულებაზე ორი მილიონი ფუთით მეტი, ხოლო გადაწყვეტილი გაქვთ სულ სახელმწიფოს მიჰყიდოთ 18 მილიონი ფუთი. ეს შესანიშნავია!

უხვი მოსავალი, მოსავლის აღებისა და პურის დამზადების წარმატებით განხორციელება კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, სპეციალისტების თავდადებული შრომის, სოფლის მეურნეობის მშრომელებში საწარმოო სამმართველოსა და პარტიული კომიტეტის უნარიანი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შედეგია.

თქვენ გვიჩვენეთ იმის მკაფიო მაგალითი, თუ როგორ უნდა გადაიჭრას მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ამოცანა და ღირსეულად შეასრულეთ მოცემული სიტყვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ ულოცავენ საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, სპეციალისტებს, საწარმოო სამმართველოს პარტიული და კომკავშირული კომიტეტების მუშაკებს, უსტ-ლაბინსკის რაიონის ყველა მშრომელს მარცვლეულის წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას და უსურვებენ შემდგომ წარმატებებს შრომაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო რწმენას გამოთქვამენ, რომ უსტ-ლაბინსკის საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები ასევე წარმატებით შეასრულებენ სიმინდის მარცელის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის ჩაბარების ნაკისრ ვალდებულებებს და კვლავ უფრო ბეჯითად იშრომებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

15 მილიონ 450 ათასი ფუთი პური — სამშობლოს ბეღლებში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს

ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძე!

ქრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკის საწარმოო სამმართველოს მეურნეობათა კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა და სპეციალისტებმა მიმდინარე წლის დასაწყისში ვალდებულება იკისრეს 1966 წელს მნიშვნელოვნად გაადიდონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა და გამოაქვეყნეს მოწოდება გაიშალოს საყოველთაო სახალხო სოციალისტური შეჯიბრება მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გადიდებისათვის.

მოხარული ვართ მოგახსენოთ, რომ უსტ-ლაბინსკელმა მხვნელ-მთესველებმა პირველი გამარჯვება მოიპოვეს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების გზაზე. სამშობლოს ბეღლებში შენახულია 15 მილიონ 450 ათასი ფუთი პური, ანუ წინათ ნაკისრ ვალდებულებაზე ორი მილიონი ფუთით მეტი. 200 მილიონი ფუთი პურიანს პურის ანგარიშში უსტ-ლაბინსკის სამმართველოს მშრომელები სამშობლოს სულ მიჰყიდიან 18 მილიონ ფუთ პურს, 1,6-ჯერ მეტს, ვიდრე გასულ წელს.

ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ მოიყვანა საშემოდგომო ხორბლის, ჭერის, ბარდის უხვი მოსავალი. სამმარ.-ველოს მეურნეობებმა თვითეულ ჰექტარზე კი ნის „უფეხო-1“ ხორბლით, რომელიც ჩვენმა თანამემამულემ, — სელექციონერმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა აკადემიკოსმა პ. პ. ლუკიანენკომ გამოიყვანა. საშემოდგომო ნათესების ნიადაგი დავამუშავეთ ნახევრად ანეულის წესით, დავთესეთ დიაგონალურ-ჯვარედინი წესით. შემოდგომასა და ადრე გაზაფხულზე მთელი საშემოდგომო პურეული 85 ათასზე მეტ ჰექტარ ფართობზე დამატებით გავანოყიერეთ აზოტოვანი სასუქებით ჰექტარზე ერთნახევარი-ორი ცენტნერის ანგარიშზე. ამან გაზარდა მოსავალი ჰექტარზე სულ ცოტა 5-6 ცენტნერით.

ზამთარში ყველა კოლმეურნე სწავლობდა. მექანიზატორთა საყოველთაო სწავლების კურსები დაამთავრა 6.500 კაცმა, რომელთაგან 1.600 კოლმეურნემ მიიღო კომბაინერის, ტრაქტორისტის, ელექტრიკოსის სპეციალობა.

საწარმოო პრინციპით სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნის, ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების შედეგად მკვეთრად ამაღლდა მეურნეობათა ეკონომიკა. გაიზარდა პროდუქციის წარმოება შრომისა და სახსრების ნაკლები დანახარჯით. სიხარულით მოგახსენებთ, რომ ჩვენს სამმართველოში ახლა ადარ არის ჩამორჩენილი მეურნეობები. საწარმოო სამმართველოს 29 კოლმეურნეობიდან და საბჭოთა მეურნეობიდან 17 მეურნეობამ საშუალოდ მიიღო 37 ცენტნერი საშემოდგომო ხორბალი, 6 მეურნეობამ — 40-44 ცენტნერი. წინათ ჩამორჩენილმა კოლმეურნეობებმა „წითელმა ოქტომბერმა“, „აღმოსავლეთმა“, „სამშობლომ“, „კალინინის სახელობისამ, „განთიადმა“, „მეგობრობამ“ საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობა თვითეულ ჰექტარზე გაადიდეს 10 ცენტნერით და უფრო მეტად.

საქმის წარმატება გადაწყვიტა არა ცალკეული ბრიგადებისა და მექანიზატორების რეკორდებმა, არამედ უსტ-ლაბინსკელთა მასობრივი ლაშქრობამ უხვი მოსავლისათვის. ნოვატორთა მიჯნა ბრიგადების, განყოფილებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიჯნა გახდა. ჩვენი სამმართველოს 144 ბრიგადიდან და განყოფილებიდან წელს 46 ბრიგადამ და განყოფილებამ ჰექტარზე მოიწიეს 44 ცენტნერზე მეტი საშემოდგომო ხორბალი.

მოსავლის აღებისას ჩვენმა კოლმეურნეებმა მასობრივი გმირობა გამოიჩინეს. პურის მკის დროს მუშაობდა 107 შეწყვილებული, 8 გასამებული, 16 ფართო გატანის აგრეგატი; 80 თვითმავალი კომბაინი თავთავიან კულტურებს ღვარეულებად მკიდა. 400 მისამმელი კომბაინი გადაკეთდა ბზისა და ნამჯის ერთდროული აღებისათვის. პირუტყვის საკვებად აღებისათვის. პირუტყვის საკვებად აღებულია 20 ათას ტონაზე მეტი ბზე.

მანქანების დაგრეგატებამ სხვა ოსტატები სანუშაოების შესრულებისათვის გათავისუფლა 212 ტრაქტორი, შესაძლებლობა მოგვცა მოსავლის აღებასთან ერთად ყანებში შეგვეტანა ადგილობრივი სასუქები, მოგვეხნა და ხელმეორედ დაგვთესა სიმინდი. მოსავლის აღების ყველა სამუშაო კომპლექსურად მიმდინარეობდა. სამმართველოს მეურნეობებმა საშემოდგომო ხორბლის მკა 7 სამუშაო დღეში დაამთავრეს. ორგანიზებულად მოეწყო ღვარეულების აკრეფისა და გალეწვის სამუშაოები.

მექანიზატორები ყველგან მაღალ გამომუშავებას აღწევდნენ. გამომუშავებამ საშუალოდ სამკელ აგრეგატზე შეადგინა 35-40 ჰექტარი დღეში. სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა პეტრე მაკაროვმა პირფართო სამკელით ერთ დღეში მომკა 130 ჰექტარი პური. ამდენივე მომკეს საცდელი მეურნეობის „ბერეზანსკოეს“ მექანიზატორებმა პეტრე ნარიუნიმ და ანატოლი სტარჩენკომ. ხოლო ერთ დღეს მათ მომკეს 168 ჰექტარი საშემოდგომო ხორბალი.

ღვარეულების აკრეფისა და ლეწვაში თავდადებული შრომის ნიმუშები გვიჩვენეს კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ კომბაინერმა ალექსი კულიკმა, არტელ „განთიადის“ კომბაინერმა ნიკოლოზ ტიულენევმა, კოლმეურნეობა „რუსეთის“ ბრიგადირმა ანტონ მატუზნინმ, კიროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრმა გრიგოლ მიხულამ და ბევრმა სხვამ. თვითეულმა მათგანმა საშუალოდ გალეწა 10 ათას ცენტნერზე მეტი მარცვალი, ხოლო კომუნისტმა ალექსი კულიკმა „სკ-4“ თვითმავალი კომბაინიდან გალეწა 14.171 ცენტნერი პური.

ჩვენი შრომის მაღალი შეფასება, რომელიც მოცემულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში იმასთან დაკავშირებით, რომ ქრასნოდარის მხარის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა იკისრეს გადიდებული ვალდებულებანი გაზარდონ სახელმწიფოსათვის მარცვლის მოყიდვა აღგვაფრთოვანებს ახალი შრომითი გმირობისათვის. წინ ბევრი საქმე გვაქვს. სამმართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებში სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და მზესუმზირას კარგი მოსავალი მწიფს. მექანიზატორებს, სოფლის ყველა მშრომელს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ამ კულტურების მოსავალიც ორგანიზებულად, მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად აიღონ. უკვე სავსებით მომზადებულია მოყვანილი ტონაჟი, შედგენილია მოსავლის აღების გეგმები. ახლა სამმართველოს მეურნეობები ემზადებიან საშემოდგომო კულტურების თესვისათვის. საუკეთესოდ ამუშავებენ ნათეს მასალებს. მინდვრებში გაჰქვთ ადგილობრივი სასუქები. ყველაფერი ხორციელდება იმისათვის, რომ მომავალ წელსაც კიდევ უფრო მაღალი მოკლები ავიღოთ.

სიტყვას ვაძლევთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობას, თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ, რომ უსტ-ლაბინსკის საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობა მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა წარმატებით დაამთავრონ მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო წელი, სახელოვნად შეასრულონ ნაკისრი ვალდებულებანი — გაადიდონ მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა, ღირსეულ ჯილდს შეეტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საერთო საქმეში.

ქრასნოდარის მხარის უსტ-ლაბინსკის საწარმოო სამმართველოს უფროსი

პ. ჩაიკინი,

პარტკომის მდივანი

ა. პახომოვი,

უსტ-ლაბინსკის რაიაღმასკომის თავმჯდომარე

ა. ბელოხონოვი,

საწარმოო სამმართველოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი

ვ. ფრემბიცკი.

საბჭოთა ხალხის გულისთქმა

ერთსულოვნად იწონეგენ მშოგლიური მთავრობის მშვიდოგისმოყვარულ პოლიტიკას

ალმაშფოთებელი ცილისწამება

ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად და შეუპოვრად იბრძვის ატომური იარაღის არა მარტო გამოცდის შეწყვეტისათვის, არამედ, საყოველთაო და სრული განიარაღებისთვის. ხელმოწერილი ხელშეკრულება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ წარმოადგენს დიდ დოკუმენტს მსოფლიოში მშვიდობის შენდგომი გამტკიცებისათვის.

ვინც ბედავს ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხელშეკრულების წინააღმდეგ გამოვიდეს, ის ფაქტიურად მხარს უჭერს საერთაშორისო დაძაბულობის გაღრმავებას, ომის ძალების აღორძინებას. პირდაპირ საკვირველია პოზიცია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა, რომელმაც უარი განაცხადა ხელი მოაწეროს ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს. ჩინეთის მთავრობის პოლიტიკა ვერავითარ მხარდაჭერას ვერ ჰპოვებს მშვიდობისმოყვარე ხალხებში, პირიქით, აღშფოთება გამოიწვია, ხალხებმა მას სამართლიანად უწოდეს უგუნური პოლიტიკა, ნაბიჯი რომელიც ეწინააღმდეგება მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას, საერთაშორისო სადავო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაჭრას.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი ქარხნის კოლექტივი გმობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის გამოხდომას საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას.

პ. პაპინაშვილი,

თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

შრომით-ბანცამწკრცხენტ მშვიდობას

როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები, ისე ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს ხეცერის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი უდიდესი სიხარულით შეეგებდით ცხობას მოსკოვის მოლაპარაკების დიდი წარმატების შესახებ. იმის შესახებ, რომ ხელმოწერილია ხელშეკრულება, რომელიც კრძალავს ატომური იარაღის გამოცდას ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ.

ეს არის საბჭოთა მთავრობის ბრძნული და რეალური ნაბიჯი ჩვენი დროის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადასაჭრელად. მაგრამ კვლავ ჯეუტად იმეორებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა, რომელმაც უარი განაცხადა ხელი მოაწეროს ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტს. ჩინეთის მთავრობის პოლიტიკა ვერავითარ მხარდაჭერას ვერ ჰპოვებს მშვიდობისმოყვარე ხალხებში, პირიქით, აღშფოთება გამოიწვია, ხალხებმა მას სამართლიანად უწოდეს უგუნური პოლიტიკა, ნაბიჯი რომელიც ეწინააღმდეგება მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას, საერთაშორისო სადავო საკითხების მოლაპარაკების გზით გადაჭრას.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი ქარხნის კოლექტივი გმობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის გამოხდომას საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას.

ვ. ბაბიჩევი,

ზუგდიდის რაიონის ხეცერის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი.

მართალი ვართ

უსაზღვრო აღფრთოვანებით შეხვდნენ მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები სამი დიდი სახელმწიფოს შეთანხმებას ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ. მოსკოვის ხელშეკრულებას, რომელსაც ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებმა, დიდი წვლილი შეაქვს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

სამწუხაროდ, ეს ასე არ ესმით ჩინეთის კომუნისტური პარტიის მესვეურებს, ისინი იბრძვიან მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის წინააღმდეგ და ცდილობენ სახელი გაუტეხონ ჩვენი კომუნისტური პარტიის ყოველ გონივრულ გადაწყვეტილებას, რომელიც მიმართულია საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებისაკენ.

ხალხებს მშვიდობა სურთ და არა მსოფლიო ხანძრის გაღვივება. სწორედ ეს გაითვალისწინა ჩვენმა მთავრობამ და საკადრისი პასუხი გასცა ჩინეთის მთავრობის ხელმძღვანელებს საბჭოთა მთავრობის 4 აგვისტოს განცხადებით. ჩვენ ვიწონებთ ჩვენი პარტიის ლენინურ პოლიტიკას ამ საკითხში. ჩვენ მართალი ვართ და მტკიცედ ვიცავთ მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესებს, როცა უარს ვამბობთ ატომური იარაღის შემდგომ გამოცდაზე.

ო. თაქთაქიშვილი,

კომპოზიტორი.

ნათელი, ხალისიანი ხელოვნება

ერთ თვეზე მეტია, რაც საქართველოს დედაქალაქში თავის ხელოვნებას უჩვენებს აზერბაიჯანის მირზა ფატალი ახუნდოვის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივი. ამ ხნის განმავლობაში მან თბილისელებს უჩვენა 12 სპექტაკლი — მათ შორის აზერბაიჯანული მუსიკის კორიფეს უზეირ ჰაჯიბეკოვის პირველი ეროვნული ოპერა „ლეილმაჯნუნიანი“ და ყარა ყარაევისა და მისი აღზრდილის არი მელიქოვის ბალეტები.

მაყურებლებმა ღირსეულად შეაფასეს აზერბაიჯანელი მეგობრების ოსტატობა, მაღალი სცენური კულტურა. მჭუხარე ტაში, რომელიც ყოველ საღამოს გაისმოდა დარბაზში, ყველა სიტყვაზე უკეთ გამოხატავდა თბილისელების დიდ მადლობას მოძმე ხალხის ხელოვნების წარმომგზავრებისადმი.

აღფრთოვანებული, გულითადი შეხვედრა მოეწყო რესპუბლიკის დედაქალაქის საზოგადოებრიობამ აზერბაიჯანის ხელოვნების ოსტატებს დასკვნით კონცერტზე, რომელიც გუშინ 5 აგვისტოს გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

გულთბილი მისასალმებელი სიტყვით მიმართა ახუნდოვის სახელობის თეატრის კოლექტივს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ. მან თეატრის კოლექტივს დიდი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვა. ტაშის გრიალში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაკაძემ წაიკითხა რესპუბლიკის უმაღლესი-საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ გასტროლების წარმატებით მოწყობისათვის.

თეატრის დირექტორმა და მთავარმა რეჟისორმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ნიაზიმ მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის, რომელიც მოეწყვა აზერბაიჯანელ მსახიობებს თბილისში, მათი შემოქმედების მაღალი შეფასებისათვის.

ამ საღამოს აზერბაიჯანელმა მეგობრებმა თავიანთი დიდი ტალანტებით გაახარეს თბილისელები. ვერცელ და მრავალფეროვან საკონცერტო პროგრამაში აისახა ნიჭიერი აზერბაიჯანელი ხალხის მდიდარი სულიერი ცხოვრება.

დარბაზში გაისმის უზეირ ჰაჯიბეკოვის ოპერა „ქორ ოღლი“ მომაჯადოებელი, ეროვნული კოლორიტით გამსჭვალული უვერტიურა, რომელიც შეასრულა თეატრის ორკესტრმა ნიაზის დირიჟორობით.

მსმენელებმა ხანგრძლივი ტაშით დაჯილდოვეს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. ახმედოვი, რომელმაც იმღერა ნიაზის სიმღერა „ოცნება“ და ფ. ამიროვის სიმღერა „ჩემო შშობლიურო აზერბაიჯანო“. დამსახურებული წარმატება ხვდათ წილად ბალეტის მსახიობებს რ. იზმაილოვას მეთაურობით, რომელმაც შეასრულა „ცეკვა გიტარებით“ ყარა ყარაევის ბალეტიდან „ქუხილის ბილიკით“ და რუმინეთის ეროვნული კონკურსის ლაურეატს გ. მასინის, რომელმაც შეასრულა ავერორას ვარიაციები პ. ჩაიკოვსკის ბალეტიდან „ძმინარე მზეთუნახავი“.

მაყურებლები მხურვალედ მიესალმნენ თეატრის სოლისტს ვ. ყურბანოვს, რომელმაც იმღერა ვ. მურადელის „ბუხენვალდის ნაბათი“ და მეფისტოფელის კუპლეტები ოპერა „ფაუსტიდან“, აზერბაიჯანის სსრ დამსახურებულ არტისტს რ. ჯაბაროვას, რომელმაც შეასრულა მომღერლის სიმღერა ოპერა „ქორ ოღლიდან“, ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის ლაურეატს გ. ასკეროვს, რომელმაც შეასრულა საკუთარი სიმღერა.

მსახიობები ერთმანეთს ცვლიან სცენაზე. მსმენელები გულთბილად შეხვდნენ გუნოს „ვალპურგის ღამეს“, რომელიც დადგა ქორეოგრაფიის ნიჭიერმა ოსტატმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა გ. ალმასზადემ.

წარმატება ხვდა წილად ოპერის სოლისტის ზ. ხანლაროვას, დამსახურებულ არტისტებს გ. გუბადოვს, ლ. იმანოვს, დირიჟორებს — აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტს ა. ბადალბეილისა და კ. ალიევერდიბეკოვს. ახუნდოვის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობთა კონცერტმა გვიჩვენა აზერბაიჯანელი ხალხის უუჯნობი და ნათელი ტალანტი. კონცერტის დასასრულს დარბაზში კვლავ გაისმა მჭუხარე ტაში. მაყურებლები ფეხზე ამდგარნი მიესალმნენ მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის წარმომგზავნილებს. ყვავილების კალათებით მორთულ ავანსცენაზე გამოდის კომპოზიტორი, სქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. თორაძე. თბილისის საზოგადოებრიობის სახელით იგი მადლობს უძღვნის აზერბაიჯანელ მსახიობებს, ნათელი ხელოვნებისათვის.

კონცერტს ესწრებოდნენ **დ. ს. ზემლიანსკი, მ. ი. კუბავა, დ. გ. სტურუა.**

(საქდესი).

აზერბაიჯანელი მეგობრების დასკვნითი კონცერტი

კოლექტივს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ს. ძოწენიძემ. მან თეატრის კოლექტივს დიდი შემოქმედებითი წარმატებანი უსურვა. ტაშის გრიალში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ზ. ა. კვაკაძემ წაიკითხა რესპუბლიკის უმაღლესი-საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება აზერბაიჯანის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ გასტროლების წარმატებით მოწყობისათვის.

თეატრის დირექტორმა და მთავარმა რეჟისორმა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ნიაზიმ მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის, რომელიც მოეწყვა აზერბაიჯანელ მსახიობებს თბილისში, მათი შემოქმედების მაღალი შეფასებისათვის.

ამ საღამოს აზერბაიჯანელმა მეგობრებმა თავიანთი დიდი ტალანტებით გაახარეს თბილისელები. ვერცელ და მრავალფეროვან საკონცერტო პროგრამაში აისახა

საბჭოთა იარაღის დიდება

საზეიმო კრება მოსკოვში, მიძღვნილი კურსკთან გერმანელ-ფაშისტთა ჯარების განადგურების 20 წლისთავისადმი

მოსკოვი, 5 აგვისტო. (საქდესის კორ.). დღეს საბჭოთა ხალხმა, ჩვენმა საელოვანმა შეიარაღებულმა ძალებმა აღნიშნეს კურსკთან ისტორიული ბრძოლის 20 წლისთავი. ამ დღეს საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში გაიმართა დედაქალაქის მშრომელების საზეიმო კრება საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის წარმომადგენლებთან ერთად.

საზეიმო კრება გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ნ. ა. კუზნეცოვმა.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვეს სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. ა. გრეჩკომ, კურსკის ბრძოლის მონაწილეებმა, საბჭოთა კავშირის გმირებმა არმიის გენერალმა ა. ს. ყადოვმა და გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ი. დავიდენკომ, ადრეთვე ქარხანა „წითელი პრესნის“ ხარატმა ნ. ფ. ეუდოკიმოვმა, მოსკოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობის „გორკი-2“ მეფრინველემ ლ. ა. ლიპინამ, სრულიად საკავშირო ალკა მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ვ. პ. ტრუშინმა, უფროსმა სერჟანტმა ა. ფ. მუსტაფინმა.

საზეიმო კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისადმი.

უ ტ ა ნ ი ს ს ი ტ ყ ვ ა

თქვენო აღმატებულებანო, ბატონებო!

ვსარგებლობ ამ ბედნიერი შემთხვევით და მინდა მადლობა გადავუხადო საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის შეერთებული სამეფოს მთავრობებს იმისათვის, რომ მომიწვიეს და შესაძლებლობა მომცეს დავსწრებოდი ამ ისტორიულ ცერემონიას. ეს მოწვევა უწინარეს ყოვლისა მიმანიშნა გამოხატულებად სამი მთავრობის მეთაურთა ღრმა ნდობისა და რწმენისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მთელი მისი საქმიანობისადმი.

იმ ვითარებაში, რომელშიც დღეს კაცობრიობა ცხოვრობს, იმ პირობებში, როცა სულ უფრო იზრდება გამალებული შეიარაღება და არსებითად არ მცირდება ურთიერთეჭვი და უნდობლობა, ყოველი შეთანხმება წამყვან სახელმწიფოებს შორის მნიშვნელოვანი მოვლენაა. ის ფაქტი, რომ დღეს ჩვენ პირველად ვართ მოწმენი მნიშვნელოვანი ძვრისა მოლაპარაკებში, რომელიც გაჭიანურდა და ხშირად უნაყოფოდ გვეჩვენებოდა და რომელიც მთელი რიგი წლების მანძილზე წარმოდგა განიარაღების დარგში, ნამდვილად ისტორიულს ხდის ამ მომენტს. ეს შეთანხმება შესაძლებელი გახდა იმის შეოხებით, რომ სამი სახელმწიფოს ხელმძღვანელებმა გამოიჩინეს სახელმწიფოებრივი სიბრძნე და გაბედულება, და თანაბარ წილად ამ მოლაპარაკების ყველა მონაწილის დაუცხრომელი და მტკიცე მეცადინეობის მეოხებით. მე გულწრფელ და გულითად მადლობას ვუძღვნი ყველა იმათ. გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ თანხმობისა და ურთიერთგაგების ასეთივე სულისკვეთებით, რაც დამთავრებულ მოლაპარაკებას ახასიათებს, მთელი ძალღონე მოხმარდება იმას, რომ მიღწეულ იქნეს შეთანხმება ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის სამუდამოდ შეწყვეტის შესახებ. ეს მკაფიოდ არის აღნიშნული თვით ხელშეკრულების პრეამბულაში და ეს სწორედ ის არის, რის იმედიც გულწრფელად აქვთ და რასაც თხოულობენ თავიანთ ლოცვებში მთელი მსოფლიოს ხალხები.

დღეს ხელმოწერილი შეთანხმება არ აღკვეთავს ომის საფრთხეს. მხოლოდ საყოველთაო და სრული განიარაღება, აგრეთვე მშვიდობის შენარჩუნების შესაბამისი და ქმედითი საერთაშორისო მექანიზმის შექმნა მიაღწევს ამ მიზანს. უეჭველია, ამ მოსაზრებებმა მიიყვანეს ხელმოწერილ მხარეები, რომლებმაც ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი, იმ აზრამდე, რომ ხელშეკრულების პრეამბულაში გამოეცხადებინათ, რომ მათი ძირითადი მიზანია რაც შეიძლება მალე მიაღწიონ შეთანხმებას მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად. მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნულია სამი სახელმწიფოს კონფერენციაში ამ საკითხზე, ეს შეთანხმება დიდმნიშვნელოვანი პირველი ნაბიჯია საერთაშორისო დაძაბულობის შემცირებისა და მშვიდობის განმტკიცების გზაზე.

თუმცა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხი მუდამ იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სესიათა დღის წესრიგში, ამავე დროს მუდამ შემოჰქონდათ განსახილველად სხვა, არა ნაკლებ დიდმნიშვნელოვანი წინადადებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის.

მე მინდა მოკლედ შევეხო ზოგიერთ მათგანს. მაგრამ, თანამიმდევრულობას, რომელსაც მე დავიცავ ამ წინადადებათა მიმართ, იმედი მაქვს, არ გაიგებთ როგორც მითითებას, რომ ისინი პირველი რიგის და შედარებით დიდი მნიშვნელობის წინადადებანია.

უწინარეს ყოვლისა მინდა შევეხო ატომური იარაღის უფრო ფართოდ გავრცელების საკითხს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაა არაერთგზის აღნიშნავს, რომ საშიშია ამ იარაღის უფრო ფართო გავრცელება და მოუწოდებდა მთავრობებს ყოველი ღონე ეხმარათ მუდმივი საერთაშორისო შეთანხმების მისაღწევად, რომელიც გაითვალისწინებდა ინსპექციასა და კონტროლს, ყოველი ღონე ეხმარათ მასობრივი მოსპობის ამ იარაღის უფრო ფართო გავრცელების აღკვეთისათვის. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მაშინ როცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციები განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებენ სახელმწიფოებს, რომლებსაც ატომური იარაღი აქვთ, მოუწოდებენ მათ თავი შეიკავონ და არ გადასცენ ამ იარაღისადმი კონტროლ- ქვეყნებს, რომლებსაც ატომური იარაღი არა აქვთ, ამავე დროს ისინი აღიარებენ, რომ ქვეყნები, რომლებსაც ატომური იარაღი არა აქვთ, აგრეთვე დაინტერესებული არიან ამ საკითხით და შეუძლ

ქიმია კომუნიზმის მაჯერიალურ-ჯექნიკური ბაზის შექმნის დამკვრელური ფრონტი

დღეს ბაკოში მუშაობას იწყებს ამიერკავკასიის თათბირი, რომელიც ეძღვნება ქიმიური მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის საკითხებს.

ეს თათბირი, უეჭველია, დიდ როლს შეასრულებს აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ქიმიური ინდუსტრიის განვითარების დაჩქარებაში, სამივე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოებს შესაძლებლობას მისცემს მთავარი მიმართულებით წარმართონ მეცადინეობა, განახორციელონ გონივრული სპეციალიზაცია და უფრო ფართო კოოპერირება.

ქვემოთ მოყვანილი მასალები მოგვითხრობენ ქიმიური მრეწველობის წარმატებებსა და პერსპექტივებზე ამიერკავკასიის რესპუბლიკებში.

დიდი პერსპექტივები

ქიმია უდიდესი სასწაულების დარგია, თქვა საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ს. შარაძე-ნიძემ.** ქიმიის პროდუქტები წარმატებით უწევენ კონკურენციას ლითონსა და ხეს, მატყლსა და ბამბას. ქიმიის პროდუქტები პურისა და ყურძნის, ჩაისა და ციტრუსების მოსავლიანობის გადიდების შესანიშნავი საშუალებაა. ქიმიური პრეპარატები სრულიად შეუცვლელი საშუალებაა სოფლის მეურნეობის მავნებლებთან, ავადმყოფობებთან და სარეველებთან ბრძოლაში. ეს პროდუქტები შესანიშნავი სტიმულატორებია შინაურ ცხოველთა და ფრინველთა ზრდის დასაჩქარებლად.

ქიმიური მრეწველობის პროდუქციის გამოყენების სფერო ყოვლისმომცველია — მას იყენებენ ყველგან — მძიმე მანქანათმშენებლობით დაწყებული და ყოფაცხოვრებით დამთავრებული.

ქიმიის სასარგებლოდ ბევრი რამ შეიძლება ითქვას, მაგრამ საკმარისია ასეთი მაგალითიც: ჩვენი რესპუბლიკის მარტო კვების მრეწველობის საწარმოები პლასტიკური მასების გამოყენების ხარჯზე შეიდწლედის ბოლომდე ორ მილიონ ბანეთზე მეტს დაზოგავენ, ასობით ტონა ფერადი ლითონის და ფოლადის ეკონომიას მისცემენ ჩვენს ქვეყანას. და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, პროდუქციის ხარისხი ბევრად უკეთესი იქნება, შემცირდება მისი წარმოების შრომატევადობა და თვითღირებულება.

ქიმიური ინდუსტრიის დაჩქარებული განვითარება მკვეთრი ტექნიკური პროგრესის გზაა. აი რატომ არის, რომ სახალხო მეურნეობის ამ დარგს ჩვენი პარტია ესოდენ დიდ ყურადღებას აქცევს.

1958 წელს, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმი გაიმართა, ჩვენს რესპუბლიკაში არსებითად მხოლოდ ორი მსხვილი ქიმიური საწარმო იყო — ქუთაისის ლითოფონის ქარხანა და რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. შემუშავდა ჩვენი რესპუბლიკის ქიმიური ინდუსტრიის ფართო განვითარების გეგმა. შეიდწლედის ბოლოსათვის მისი საერთო პროდუქცია 6-ჯერ უნდა გაიზარდოს 1958 წელთან შედარებით.

უნდა ითქვას, რომ ეს გეგმა საკმაოდ წარმატებით ხორციელდება. მიმდინარეობს რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის რეკონსტრუქცია და გაფართოება. მისი დამთავრების შემდეგ ამიაკის, ამონიუმის გვარჯილისა და აზოტმჟავის წარმოება ერთიორად გადიდდება. აქვე აშენდა კაპროლაქტამის წარმოება, რომელიც უახლოეს ხანებში მოგვცემს ძირითად პროდუქციას. ამ წარმოების ბაზაზე იმეშავებს ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი ქარხანა სინთეზური ბოჭკოსი. ამუშავდება ამონიუმსულფატს, კალიუმის პერმანგანატის, მანგანუმის ორჟანგის, ციანოვანი მარილების, მშრალი ყინულისა და არგონის საწარმოები.

დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ქუთაისის ლითოფონის ქარხნის გასაფართოებლად, რაც საშუალებას მოგვცემს არა მარტო მნიშვნელოვნად გავადიდოთ წარმოება, არამედ ავითვისოთ ახალი პროდუქციის გამოშვება. შენდება მანგანუმის გამამდიდრებელი ახალი ფაბრიკა, დარაშანოვანი პრეპარატების წარმოების საამქროები. მაგრამ ეს ყველაფერი ორდია. ადგილობრივი მრეწველობის ყოფილი წვრილი ქიმიური საწარმოები გაფართოდება და დასაბუციადდება მშენებლობისათვის საჭირო ლაქებისა და საღებავების, საფეიერო მრეწველობისათვის საჭირო ანილინის საღებარების წარმოებაზე. ძლიერ განვითარდება საყოფაცხოვრებო ქიმია.

ეფექრობ, საჭირო არ არის ჩამოვთვალო ყველაფერი, რაც კეთდება ან გაკეთდება უახლოეს წლებში. არანაკლებ საინტერესოა ის, რომ შეიდწლედის ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს ქიმიური მრეწველობის საერთო პროდუქციამ რამდენიმე მილიონი მანეთით გადააჭარბა საკონტროლო ციფრებს.

მიუხედავად იმისა, რომ ქიმიური ინდუსტრიის ყველა საწარმოო სიმძლავრე, არ ამუშავდა დადგენილ ვადებში, წელსაც კი საერთო პროდუქციის წარმოება 2,3-ჯერ გადააჭარბებს 1958 წლის დონეს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის წარმატებით განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ჩვენს მეცნიერებს. დიდი წვლილი შეიტანეს ამ ზრდაში მელიქიშვილის სახელობის ქიმიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლექტივმა, გამოყენებითი ქიმიისა და ელექტროქიმიის, მინერალური ნედლეულის, ფიზიკის, აგრეთვე კიბერნეტიკის ინსტიტუტების კოლექტივებმა.

მაგრამ, რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა მიგვეჩნია, თითქოს ჩვენში ყველაფერი კარგად მიდის. ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოვრჩებით აზერბაიჯანსა და სომხეთს, თუმცა ყველა პირობა გვაქვს ამ მნიშვნელოვანი დარგის უფრო ინტენსიურად განვითარებისათვის.

ცუდად იყენებენ ან სრულიად არ იყენებენ თანამგზავრ გაზებს ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ **ქარხანაში,** ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში. ახლა უკვე აღარავის არ ეპარება ეჭვი, რომ ბათუმის ქარხანაში საჭიროა შეიქმნას საამქრო, რომელიც გადაამუშავებს ნარჩენ გაზებსა და პროდუქტებს, რომლებიც ეთილენსა და პროპილენს შეიცავენ. ამ ნარჩენებიდან შეიძლება დამზადდეს ისეთი ძვირფასი პოლიმერები, როგორიც არის პოლიეთილენი და პოლიპროპილენი.

კიდევ ერთი რამ, რაზეც მინდა შევაჩერო ყურადღება. ქიმიური მრეწველობის სწრაფი განვითარება წარმოუდგენელია, თუ რესპუბლიკაში არ გვეყოლება კარგად მომზადებული კადრები. სახელმწიფო უნივერსიტეტმა და პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა მრეწველობასა და სამეცნიერო დაწესებულებებს უნდა მისცენ კარგად მომზადებული სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ თავი გაართვან როგორც წარმოების, ისე მეცნიერულ პრობლემებს. ეს საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო სწრაფად განვავითაროთ ქიმია — სახალხო მეურნეობის ეს საუცხოო დარგი.

რუსთავი: გიგანტური ნაბიჯებით წინ

რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხანა, ამბობს საწარმოს დირექტორი **ა. საღარეიშვილი,** საქართველოს დიდი ქიმიის პირმშოა. ამიაკი, ამონიუმსა და ნატრიუმის გვარჯილა, კალიუმპერმანგანატი და სხვა პროდუქცია, რომლებსაც ქარხანა უშვებს, იგზავნება ამიერკავკასიის, შუა აზიის ყველა რესპუბლიკაში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ბელორუსიაში, სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეში, ვოლგოგრადის ოლქში და სხვ. ეს პროდუქცია საზღვარგარეთაც იგზავნება.

მინერალური სასუქების გამოშვება საწარმოს მუშაობის მანძილზე თითქმის ორნახევარჯერ გაიზარდა.

ჩვენთან ბევრი რამ გაკეთდა შრომატევადი პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციისათვის, ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის. მაგალითად, ავტომატიზებულია მეთანის კონვეიერის ყველა აგრეგატი. აგებულია და მუშაობს აეროვანი ქანგბადის მწარმოებელი ძლაერი დანადგარი. ბევრად შემსუბუქდა მდნობელთა შრომა.

გადაეწყვიტეთ აგრეთვე ღარიბი მადნეულისა და მანგანუმის ნარჩენების კომპლექსური გამოყენების პრობლემა. მანგანუმის არაკონდიციონირებული მადნის ქიმიური გამდიდრების ხერხი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ოთხი ძვირფასი ქიმიური პროდუქტი. ერთ-ერთ მათგანს — მანგანუმის აქტიურ ორანგს — ფართოდ იყენებენ, როგორც დენის ქიმიურ წყაროს, ადსორბენტსა და კატალიზატორს ბევრი ორგანული შენაერთის სინთეზის დროს. ახლა ჩვენი კოლექტივი მეცნიერებთან თანამეგობრობით მუშაობს შარდოვანას დიდი მასშტაბით გამოშვების პრობლემაზე.

აზოტოვანი სასუქების ქარხანაში დიდი მუშაობა მიმდინარეობს საწარმოს სიმძლავრის გადიდებისათვის. ქარხნის გაფართოების სამუშაოთა კომპლექსი ძალზე რთულია. იგი თვალისწინებს საწარმოს თითქმის ყველა საამქროს რეკონსტრუქციას. მთავრდება სამუშაოები კომპრესიის, სპილენძ-ამონიუმის საწმენდ, ელექტრომომარაგების საამქროებში. იზრდება ტემპი სინთეზის, წყლის საწმენდ, ამონიუმის გვარჯილის, ჰაერის განაწილებისა და კონვეიერსის საამქროებში.

გაფართოებასთან ერთად მიმდინარეობს აგრეთვე ტექნიკური რეკონსტრუქცია, უმჯობესდება საწარმოს მუშაობის ყველა ტექნოლოგიური სქემა. მაგალითად, ამონიუმის გვარჯილის საამქროში აგებენ სრულიად ახალ, გრანულაციის საცდელ კოშკს, რომელიც დამონტაჟებულია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. ჰაერის განაწილების საამქროში დგამენ „ბრვ-5“ მეორე დანადგარს.

ამ დღეებში კაპროლაქტამის წარმოების ექსპლოატაციის მუშაკებმა მორიგი ბიდი გამარჯვება მოიპოვეს: მიიღეს ანონი-რექტიფიკატი, პროდუქტი, რომელიც ძირითადი კომპონენტია კაპროლაქტამის ნედლეულის დასამზადებლად.

დიდი მუშაობა განხორციელეა კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობისათვის ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტმა. მოკლე დროში ააგო 23 კორპუსი, რომლებსაც აქვთ მიწისქვეშა მეურნეობის ფართოდ დაფენილი ქსელი და საამქროთშორისი ორთქლგაზსადენი. კაპროლაქტამის წარმოებაში დადგმულია ათეულ ათასობით სხვადასხვა კვეთის საკვალი და ვენტილი, ჩაწყობილია 10 ათასზე მეტი კილომეტრი სხვადასხვა დიამეტრის მილები. აქ დადგმულია დაახლოებით შვიდი ათას ნახევარი საკონტროლო-საზომი ხელსაწყო, დამონტაჟებულია სხვადასხვა მოწყობილობის ათასობით ერთეული, განხორციელებულია ქიმდამცავი, საიზოლაციო, ცეცხლგამძლე და კორიზიის საწინააღმდეგო დიდი სამუშაოები.

სულ მალე ქიმიკოსები უპატაკებენ სამშობლოს, რომ მიღებულია პირველი ქართული კაპროლაქტამი.

• • •

რუსთავში გაძლიერებული ტემპით შენდება სინთეზური ბოჭკოს ქარხანა, მოგვითხრობს ქარხნის დირექტორი **გ. ბარამიძე.** ქარხნის ამუშავება ბევრად გაფართრობს საფეიქრო, სამკერვალო და ტრიკოტაჟის მრეწველობის ნედლეულის ბაზას. ჩვენ გამოვუშვებთ კაპრონის ამრეშუმს, კაპრონის კორდის ქსოვილს ავტომობილის საბურავის წარმოებისათვის. გამოვიყენებთ ავრეთვე წარმოების ნარჩენებს. მათგან დავამზადებთ ულამპ სათვეზაო ხელსაწყოებს, ჯაგრისებს, ნავთობპროდუქტების გადასატუმბავ შლანგებს და ბევრ სხვა რამეს.

სინთეზური ბოჭკოსათვის საწყის პროდუქტს — თხევად კაპროლაქამს — მივიღებთ სპეციალური ესტოკადით, რომელიც მილსადენით გათბება. ესტოკადის სიგრძე 1.500 მეტრია. გალღობილი ნედლეულის ტრანსპორტირება ასეთ მანძილზე სსრ კავშირში პირველად ხორციელდება.

გასული წლის ბოლოს ამუშავდა საცდელი წარმოება. მისი პირველი პროდუქცია — კაპრონის ძაფი — იგზავნება რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში.

მალე საქართველოს შემამტები ახალი მსხვილი საწარმო. ეს დიდი ნაბიჯი იქნება რესპუბლიკაში დიდი ქიმიის განვითარების გზაზე.

თბილისი: პროდუქციის გამოშვება 9-ჯერ იზრდება

თბილისის პლასტმასის ქარხანა, ამბობს მისი დირექტორი **მ. ჯანტურია,** უშვებს ელექტროსამუშაველებისა და ელექტროავტომატების კონტაქტებსა და სახურავებს, ზოგიერთ დეტალს სახარატო-ხრახნსაჭრელი და მრგვლადსახეხი ჩარხებისათვის. უკანასკნელ ხანს ჩვენმა ნაწარმმა მომხმარებელთა საერთო აღიარება ჰპოვა. ახლა რესპუბლიკაში არ არის მრეწველობის თითქმის არც ერთი დარგი, სადაც ჩვენს პროდუქციას არ იყენებდნენ.

იმ ნაწარმის ასორტიმენტი, რასაც ჩვენი ქარხანა უშვებს, ყოველწლიურად იზრდება. 400 დასახელების პლასტმასის დეტალებიდან 70 მარტო წელს ჩქნა ათვისებული. ისინი გამოირჩევიან გაუმჯობესებული მოპირკეთებითა და დიდი სიმტკიცით, შეუძლიათ გაუძლონ მნიშვნელოვნად მეტ დატვირთვას, ვიდრე მათი წინამორბედნი უძლებდნენ. მაგრამ ჩვენს კოლექტივს ჯერ კიდევ სრულად არ გამოუყენებია თავისი შესაძლებლობანი ნაწარმის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. გადაწყვეტილია უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში ერთიორად გადიდდეს ქარხნის პროდუქციის გამოსადეგობის საგარანტიო ვადა. მაღალი ხარისხისათვის ბრძოლამ მოიტანა შესანიშნავი შედეგი, რომელზეც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ მხოლოდ ოცნება შეგვეძლო: ახლა ქარხანა არ იღებს რეკლამაციებს.

დიდია საწარმოს შემდგომი ტექნიკური პროგრესის პერსპექტივები. ამჟამად რესპუბლიკაში მშენებლობის პროცესში მყოფი დიდი ქიმიის ობიექტები შესაძლებლობას მოგვცემს გავადიდოთ და გავაფართოოთ პროდუქციის ასორტიმენტი, ავითვისოთ ასობით დასახელების ახალი დეტალი. უკვე ახლა შედგენილია საწარმოს გენერალური რეკონსტრუქციის გეგმა, აიგება ახალი საწარმოო კორპუსები, რომლებიც აღჭურვილი იქნება ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით. 1965 წელს პროდუქციის გამოშვება ჩვენს ქარხანაში 9-ჯერ გადიდდება.

ქუთაისი: სიმძლავრე ორნახევარჯერ გადიდდება

ქუთაისის ლითოფონის ქარხანა, მოგვითხრობს საწარმოს დირექტორი **გ. ძიმისტარაშვილი,** ახლა თავის მეორე ახალგაზრდობას განიცდის — მამდინარეობს მისი რეკონსტრუქცია და გაფართოება. როდესაც მწყობრში ჩადგება 43 ახალი ობიექტი, საქართველოში უძველესი ქიმიური ქარხნის სიმძლავრე 1965 წლისათვის ორნახევარჯერ გადიდდება.

საწარმოს ძირითად პროდუქციას — ლითოფონს — იყენებენ როგორც ძირითად მასალას საღებავების, რეზინის, პლასტმასის, ხელოვნური ტყავის წარმოებისათვის და სხვ. ქარხნის კოლექტივი წლითიწლობით ზრდის ამ ძვირფასი ნედლეულის გამოშვებას. საკმარისია ითქვას, რომ უკვე ახლა ლითოფონის წარმოება ბევრად აღემატება თავდაპირველ პროექტულ დავალებას. მიმდინარე წლის ბოლოსათვის მწყობრში ჩადგება რეკონსტრუირებული ლითოფონის საამქროს პირველი რიგი. ახალ საამქროში ათვისებულ იქნება დისპერსიული თეთრი ბარიტის გამოშვება ლაქების, საღებავებისა და ტყავის წარმოებისათვის.

დიდი მუშაობა განხორციელდა ქარხნის რეკონსტრუქციისათვის. დამკვრელური ტემპით მიმდინარეობა ლაქსალებავების, ბარიუმგოგირდისა და თუთიის ახალი საამქროების, აგრეთვე ბევრი სხვა ობიექტის მშენებლობა.

ქიმიური ინდუსტრიის გიგანტი

განუწყვეტლივ იცვლება ინდუსტრიული სუმგაითის სახე. მილების ბოლოების გამორეხვის ვეებერთელა საამქრო შეიქმნა მილსაგლინავ ქარხანაში. შენდება ამიერკავკასიაში ყველაზე მსხვილი მინის ქარხანა. ფრთებსა შლის ალუმინის ქარხანა. მისი მოქმედი კორპუსების გვერდით აღიმართა რკინაბეტონის კონსტრუქციების აეტრული მალები. — „გამოვუშვებთ ალუმინის ნაგლინს“ — სიამაყით ამბობენ მეტალურგები.

მაგრამ ყველაზე მეტი სიახლე ქიმიკოსებს აქვთ. სუმგაითის აზერბაიჯანის ქიმიური მრეწველობის დედაქალაქს უწოდებენ. აქ გთავალისწინებულია დიდი მასშტაბის სამუშაოები. უკვე შეიდწლედის ბოლოსათვის ახალგაზრდა ქალაქი გამოუშვებს იმდენ პროდუქციას, რამდენიც ბაქომ 1958 წელს გამოუშვა. ეს ზრდა ძირითადად განხორციელდება ქიმიური საწარმოთა ხარჯზე. მათ იაფი ნედლეულით უზრუნველყოფენ რესპუბლიკის მეანავთობენი.

სიახლე № 1

ამ დღეებში მთავრდება სსრ კავშირში პირველი საცდელ-სამრეწველო დანადგარის მშენებლობა, რომელიც გამოუშვებს ბუტილ-კაუჩუკს. განვლილია დიდ სამუშაოთა კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი სინთეზური კაუჩუკის ქარხნის გაფართოებისა და რეკონსტრუქციის ხაზით. მკითხველს შეცდომაში ნუ შეიყვანს სიტყვა საცდელ-სამრეწველო. ეს არის რთული კომპლექსი, რომელიც მოიცავს იზობუტილენის გამოყოფისა და პოლიმერიზაციის განყოფილებებს, ქლორმეთილის განყოფილებას, სიცივის მძლავრ ფაბრიკას, უახლეს აპარატურას კაუჩუკის გამოყოფისათვის და ა. შ.

სუმგაითის ქარხანა თავისი დაბადების პირველივე დღიდან ერთდროულად გადაიქცა მოქმედ საწარმოდაც, მშენებლობადაც, ლაბორატორიადაც, სადაც მოწმდება და ინერგება საბჭოური მეცნიერების და პრაქტიკის უკანასკნელი მიღწევები. აი ახლაც ბუტილ-კაუჩუკის კომპლექსის ყველა როგორი ქარხნის მუშებთან, სპეციალისტებთან და მემონტაჟეებთან ერთად ფუსფუსებენ, ცდიან მოწყობილობას მამწყობელ საწარმოთა წარმომადგენლები, მოსკოვისა და ლენინგრადის, უკრაინის, ყაზახეთის, ვოლგოგრადის, იაროსლავლის მეცნიერები და დამპროექტებლები.

ასეთი ფართო მასშტაბის გამოცდა გზას უხსნის ახალ პერსპექტივებს სსრ კავშირის ქიმიური ინდუსტრიის განვითარებაში. ბუტილკაუჩუკს არსებითი უპირატესობანი აქვს სხვა სახეობათა ხელოვნურ რეზინთან შედარებით. იგი კარგად უძლებს მეავების ზემოქმედებას, ტემპერატურის მკვეთრ ვარდნილობას, გამოირჩევა დიდი ცვეთამედეგობით. გარდა ამისა, ბუტილკაუჩუკისაგან დამზადებული კამერა, გაჩხვლეტის შემთხვევაში, თვითონ იკრავს პირს და სწრაფად იმუშებს მოყენებულ „ჭრილობას“.

№ 1 სამშენებლო ტრესტის მშენებლებმა „სოიუზპრომმონტაჟის“, „ფოლადკონსტრუქციის“, „იუჟმონტაჟავტომატიკისა“ და სხვა სპეციალიზებულ ორგანიზაციათა ბრიგადებმა ბევრი რამ ისწავლეს, როცა აგებდნენ ბუტილკაუჩუკის წარმოების ტექნოლოგიურ ხაზს.

—ჩვენ ვისწრაფოდით,—თქვა პირველი სამშენებლო ტრესტის მმართველმა მ. აბდულაევმა,—უზრუნველგვეყო საწარმოო პროცესის უწყვეტობა, თანამომდევნობა. ეს იყო წარმატების გადამწყვეტი პირობა. თვითეული ობიექტის მშენებლობა დაყოფილი იყო ცალკეულ ეტაპებად იმ მიზნით, რომ მემონტაჟეებს ყოველთვის ჰქონოდათ მუშაობის საჭირო ფრონტი. ამან საშუალება მოგვცა უკეთ გამოგვეყენებინა მშენებლობის ინდუსტრიული წესები, აღმოგვეფხვრა მოცდენა.

— მე ვეკიბრები ქიმიის წარჩინებულ მშენებელს სეგეროდონეცელ ივანე მიაგკოვსა და სალავათელ საფუან ბულიაყლოს, — განაცხადა ბუტილკაუჩუკის კომპლექსის მშენებლობის მონაწილემ, მე-17 სამშენებლო სამმართველოს მებეტონეთა კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელმა ისლამ ისაევმა. — ბედნიერება მხვდა ორგზის ვყოფილიყავი დონბასის მშენებლობებზე, ახლოს გავცნობოდი ჩემს ახალ მეგობრებს. შევეცადე მათი გამოცდილება ჩვენი კოლექტივისთვის გამეზიარებინა. ჩვენს წინაშე დგას პასუხსაგები ამოცანა — სტიროლის საამქროთა ჯგუფის რეკონსტრუქცია, შემდეგ კი რიგში დგას დიდი ბუტილკაუჩუკი. პირობას ვაძლევთ მშობლიურ პარტიას და მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ვიმუშავებთ უფრო კარგად, რათა უფრო სწრაფად ჩადგეს მწყობრში ახალი ქიმიური საწარმოები.

— ჩვენ, — განაგრძო ნოვატორმა, — ბევრს მოველით, თათბირისაგან, რომელსაც ბაქოში უწევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამიერკავკასიის ბიურო. ეს თათბირი მიეძღვნება ქიმიური მრეწველობის განვითარებისა და სახალხო მეურნეობის ქიმიზაციის საკითხებს ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. თათბირი დაგვეხმარება სწორად, კომპლექსურად გადაგვწყვიტოთ მთელი რიგი პრაქტიკული ამოცანები, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ქიმიური ინდუსტრიის ინტენსიურ ზრდასთან, ალმოვფხვრათ ქიმიურ საწარმოთა მშენებლობაში არსებული ნაკლოვანებანი. ეს მიგვანიშნა ხალხის კეთილდღეობისათვის პარტიის ზრუნვის ახალ გამოხატულებად.

ყველაზე მძლავრი სსრ კავშირში

მის უზარმაზარ საამქროთა კონტურები აღმართულა ბაქოთბილისის გზატკეცილის მარცხენა მხარეზე. პროდუქციას ჯერჯერობით მხოლოდ გოგირდმჟავას საამქრო იძლევა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე საამქროა ჩვენს ქვეყანაში წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის დონით. მეორე, სუპერფოსფატის საამქრო ჯერ კიდევ შენდება. მისი კორპუსები, ელევატორები დიდი სიმძლავრის შთაბეჭდილებას ტოვებენ. სინამდვილეში ეს ასეც არის. ეს ქარხანა ყველაზე მძლავრი საწარმო იქნება სსრ კავშირში.

სუპერფოსფატის წარმოების მთელი პროცესი, დაწყებული ელექტროინჰიბეთით აპატიტის გადმოტვირთვიდან სკრეპერულ ტრანშეებში, მექანიზებულია. ახლა აქ ნამდვილად გაცხარებული მუშაობის დღეებია: ასამუშავებენ ბლოდები ერთ-ერთ ბლოკს. ამ ბლოკზე ბევრი ფიქრობენ, ბევრ ეჭვობენ. ეს ბლოკი ბევრ ახალ ტექნიკურ ამოცანას ალმოფხვრის. ეს ბლოკი ბევრ ახალ ადამიანს ასწავლის, ბევრ ახალ ადამიანს ასაფეხურებს ტექნიკის ბასრ ფეხზე.

ეს ბლოკი ბევრ ახალ ადამიანს ასაფეხურებს ტექნიკის ბასრ ფეხზე. ეს ბლოკი ბევრ ახალ ადამიანს ასაფეხურებს ტექნიკის ბასრ ფეხზე.

—

ახალი სტარტის წინ

კიდევ ერთი ფინიში

მოსკოვი, 5 აგვისტო. (ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.). სპორტსენთა ფორტების საზეიმო გახსნის მოახლოებასთან ერთად მატულობს დიდი სტარტი-საათვის მზადების ტემპი. სწორედ ამ მზადებას აქვს დათმობილი 5 და 6 აგვისტო ამის შემდეგ კი ერთბაშად ბრძოლაში ჩაებმებიან რამდენიმე სახეობის წარმომადგენლები. კიდევ უფრო ფართოდ გაშლის ფრთებს სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადა.

გუშინ პირველად გავიცანით ჩემპიონები აკადემიურ ნიჩბოსნობაში. საქმის არის, რომ სპორტის ეს სახეობა პირველად მხოლოდ III სპარტაკიადაზე იქნა შეტანილი. ცხადია, მეტოქეები ნაკლებად იცნობდნენ ერთმანეთს და მათს ძალთა თანაფარდობაში ბევრი რამ იყო უცნობი. ამიტომაც დასკვნითს შეხვედრებში ბრძოლა სიმძაფრით გამოირჩეოდა.

ორმოსასმელიანების (მესაჭით) ასპარეზობის ფინალში ვაკთა შორის 2.000-მეტრზე უძლიერესი იყვნენ რსფსრ წარმომადგენლები ა. ჩიბაე

და ა. შარაპოვი, მესაჭე — ნ. კუზნეცოვი. რომლებმაც აჩვენეს დრო — 8 წუთი და 4 წამი. მომდევნო ადგილები დაიკავეს ლენინგრადის, ლატვიის, უკრაინის, მოსკოვისა და ლიტვის გუნდებმა.

ვაკთათვის ოთხმოსასმელიანების ასპარეზობაში (მესაჭით) ჩემპიონი გახდა ლენინგრადის ნიჩბოსანთა კოლექტივი. ერთეულთა ასპარეზობაში პირველი ადგილი დაიკავა მოსკოველმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ივანოვმა. მისი დროა 7 წუთი და 52,7 წამი. 8-მოსასმელიანების ბრძოლაში პირველი იყო ლიტვის კოლექტივი.

გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი გახდა მოსკოვის გუნდი. მომდევნო ადგილები დაიკავეს ლენინგრადის, ლიტვის, უკრაინის, რსფსრ და ლატვიის კოლექტივებმა. საქართველოს გუნდი მერვე ადგილზე გამოვიდა.

დისტანციის ნახევარი გავლილია

მრავალდღიანი ველოსრბოლის მონაწილეებმა დისტანციის ნახევარი ჯაიარეს. ხარკოვში ერთი დღის შესვენების შემდეგ ისინი უკან დაბრუნდებიან და ფინიში მოსკოვში ექნებათ. განსაკუთრებით შეუპოვარი აღმოჩნდა პაექრობა უკანასკნელ ორ ეტაპზე. მესამე ეტაპის მარშრუტი იყო ორიოლი — კურსკი, რომლის დისტანცია 158 კილომეტრია. ამ ეტაპზე საშუალო სისწრაფე საათში 38.6 კილომეტრს უდრიდა. საინტერესო აღმოჩნდა ფინიში კურსკში. აქ პირველი ადგილისათვის ერთმანეთს ეცილებოდნენ მოსკოველ, ესტონელ და უკრაინის წარმომადგენლები. პირველობის საკითხი გადაწყდა ბრძოლის უკანასკნელ ათეულ მეტრზე. გაიმარჯვა მოსკოვის გუნდის წევრმა სპორტის ოსტატმა ა. აბდალოვმა. რომელმაც მანძილი დაფარა 4 საათში, 5 წუთსა და 32 წამში.

წარმატება ხვდა ესტონელ ველოსრბოლელ ა. ვიარავასს. მან მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა შედეგით 4 საათი, 5 წუთი და 35 წამი. მესამე ადგილზე გამოვიდა ბ. ივანოვი. მომდევნო ადგილები დაიკავეს ს. ხოლმოგოროვმა (რსფსრ), ა. დოხლიაკოვმა (ბელორუსია) და სხვებმა.

სამი ეტაპის შემდეგ პირად ასპარეზობაში ველოსრბოლის ლიდერია ესტონელი სპორტსმენი ა. ვიარავასი — მისი შედეგია 13 საათი, 27 წუთი და 42 წამი.

მესამე ეტაპზე გუნდურ ჩათვლაში უკეთესი შედეგი ჰქონდათ ესტონელებს, ხოლო სამი ეტაპის ჯამით მოსკოველებს.

როგორც ვხედავთ, საქართველოს გუნდს, რომელიც ძლიერი სპორტსმენებით არის დაკომპლექტებული, რატომღაც არასახარბიელო შედეგები აქვს. თავი რომ დავანებოთ პრიზიორთა რიგებს, მათ ათეულის მიღმა ვხედავთ. მაგალითად, გუნდური მაჩვენებლებით ისინი ვერ იქნა და ვერ აშორდნენ მე-13-მე-14 ადგილებს. ასევე ითქმის პირად ჩათვლებში.

დღეს შედგა მეოთხე ეტაპი მარშრუტით კურსკი — ხარკოვი. ეს იყო ყველაზე დიდი დისტანცია. ხარკოვში ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა. თურქმენეთის გუნდის წარმომადგენელმა გ. ლებედევმა. გუნდურ ჩათვლაში მეოთხე ეტაპზე (228 კილომეტრი) გაიმარჯვა რსფსრ-ს ველოსრბოლთა კოლექტივმა. საკაბშირო რადიოს მიერ დაწესებული იყო სპეციალური პრიზი ოთხი ეტაპის საუკეთესო შედეგისათვის. ეს ჯილდო მოიპოვა ესტონელმა ველოსრბოლმა ა. ვიარავასმა.

ვ. გაგელია.

ახალი ამბები • ცნობები • ფაქტები • ქრონიკა

საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პლენუმი

გუშინ ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შედეგები და ქართული კინემატოგრაფიის ამოცანები.

შესავალი სიტყვით პლენუმი გახსნა საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა **ს. დოლიძემ.**

მოხსენება წაიკითხა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ **ო. ჭინჭლაძემ.**

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ რეჟისორმა **დ. რონდელმა,** საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კინოფიკაციის სამმართველოს უფროსმა **ს. ხონელიძემ,** ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების სტუდიის დირექტორმა **ი. მესხიშვილმა,** გადამღები ჯგუფის დირექტორმა **ვ. გაბოკიძემ,** ოპერატორმა **დ. მარგიევმა,** კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორმა **თ. გორდელაძემ,** საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა **ლ. აბაშიძემ,** რეჟისორებმა **ო. აბესაძემ** და **ი. ქავთარაძემ.**

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი **დ. სტურუა.**

(საქდისი).

ვისია გედნიერი ბილეთები

ახალციხე. (ტელეფონით, „კომუნისტის“ სპეც. კორ.). გუშინ, 5 აგვისტოს, ახალციხის კულტურის სახლში გაიმართა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1963 წლის (მეხუთე გამოშვების) ლატარიის მოგებათა ტირაჟი. გათამაშდა ფულისა და ნივთების 120.000 მოგება 225.000 მანეთი საერთო თანხისა.

ვაქვეყნებთ რამდენიმე მომგებიანი ბილეთის ნომერს. ავტომანქანა „ვოლგა“ ხვდა 12506 სერიის № 482 და 13288 სერიის № 191 ბილეთებს. ავტომანქანა „მოსკვიჩს“ მიიღებენ ისინი, ვისაც აქვთ 12040 სერიის № 318, 13742 სერიის № 445, 14965 სერიის № 169 ბილეთები. ავტომანქანა „ზაპოროუეცი“ მოიგეს 12499 სერიის № 259, 13155 სერიის № 33 ბილეთებმა. საწოლი ოთახის გარნიტური ერგო 14782 სერიის № 497 ბილეთს, პიანინო — 13074 სერიის № 11-ს და სხვ.

შეხვედრა „რუსული სასწაულის“ მაყურებლებთან

ჩვენი დედაქალაქის კინოთეატრების ეკრანებზე დიდი წარმატებით უჩვენებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინოდოკუმენტალისტების ანელი და ანდრე ტორნდაიკების მიერ შექმნილ მხატვრულ-დოკუმენტურ ფილმს „რუსული სასწაული“. ფილმში ასახული დოკუმენტური მასალები, რომლებიც მოწმობენ საბჭოთა ხალხის ძლევამოსილ წინსვლას, ხალხის ცხოვრებაში მომხდარ სასწაულებრივ გადატრიალებას, დიდ შთაბეჭდილებას ახდენენ მაყურებლებზე.

კინოთეატრ „საქართველოში“ ამ დღეებში ფილმის „რუსული სასწაულის“ დემონსტრირების შემდეგ გაიმართა მაყურებლების შეხვედრა ძველ ბოლშევიკებთან. შეხვედრას ესწრებოდნენ რეოლუციის ვეტერანები გ. კულულაშვილი, კ. ალბოროვი, ნ. გოგიაშვილი, ე. ცინცაძე, ვ. კობალაძე, ს. თაბაგარი, ი. მიქაძე და სხვები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა კინოთეატრის დირექტორმა ბ. გეგეშიძემ. ფილმით მიღებული თავიანთი შთაბეჭდილებები გაუზიარეს დამსწრეთ გ. კულულაშვილმა, კ. ალბოროვმა, კიროვის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ თ. უსანეთაშვილმა და ამავე ქარხნის ხარატმა ო. ჭელიძემ.

თანამედროვეობისა და ხალხურობისათვის

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმი

დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახა საბჭოთა შემოქმედებითს ინტელიგენციას და იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებს, მთელ საბჭოთა ხალხს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა.

საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმმა, რომელიც ამ დღეებში გაიმართა, განიხილა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები და რესპუბლიკის კომპოზიტორთა კავშირის უმნიშვნელოვანესი ამოცანები. აღნიშნულ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი კომპოზიტორი **დ. თორაძე.**

მოხსენების გამო გაიმართა კამათი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კომპოზიტორებმა **ო. თევდორაძემ, ნ. მამისაშვილმა, ფ. ღლონტმა, ო. გორდელმა,** საესტრადო ორკესტრ „როროს“ სამხატვრო ხელმძღვანელმა კომპოზიტორმა **კ. პეტზნერმა,** თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა კომპოზიტორმა **ო. თაქთაქიშვილმა,** ახალგაზრდა კომპოზიტორმა **გ. ყანჩელმა,** საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა კომპოზიტორმა **ა. მაჭავარიანმა.**

პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა **თ. ბუაჩიძემ.**

ჩეხი მეგობრების კონცერტები

ეროვნული ფილარმონია

რამდენიმე დღეა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრის შენობაში კონცერტებს მართავდა ჩეხოსლოვაკიის სსრ საესტრადო ორკესტრი „ბერო“. იგი სამშენველო ქალაქ ბრნოს რადიოს საესტრადო ორკესტრია და დიდი პოპულარობით სარგებლობს. რადიოტელევიზიებ მთელ მსოფლიოს მოჰფინეს ამ ორკესტრის მიერ შესრულებული მელოდიები.

მსმენელთა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა „ბერომ“, რომელმაც დირიჟორ ირჟი გუდეცის ხელმძღვანელობით შეასრულა კომპოზიტორ კოლა პორტერის ნაწარმოები „დღე და ღამე“, პოპური „პოპულარული სიმღერების გვირგვინი“, კომპოზიტორ კურტ კეილის „სამგროშიანი ოპერეტები“ და სხვ.

მაღალი ოსტატობა გვიჩვენეს ორკესტრის სოლისტებმა ლუბომირ ნოვოსადმა (როიალი), იაროსლავ ხუმოლიკმა (კლარნეტი), ოლდრჟიხ კორშინეკმა (საქსოფონი — ალტი), ლადისლავ ოდხაზელმა (ტრომბონი), ზდენეკ ნეჩესანეკმა (ვიოლინო) და იან გავრანმა (საყვირი).

გულთბილად მიიღო მსმენელმა საესტრადო ორკესტრის მომღერლების, მიროსლავ შუბას, მილადი ოლშანიკოვას და იაროსლავა კუჩეროვას მიერ შესრულებული ლირიკული სიმღერები.

ჩეხოსლოვაკელმა მეგობრებმა ჩვენი დედაქალაქის მცხოვრებლებს უძღვნეს საგასტროლოდ გამომგზავრების წინ შესწავლილი და დამუშავებული კომპოზიტორ რ. ლაღიძის პოპულარული „სიმღერა თბილისზე“ ვოკალური ტრიოს (მ. შუბას, მ. ოლშანიკოვასა და ი. კუჩეროვას) შესრულებით.

სურათზე: მღერის ი. კუჩეროვა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ქიევის „დინამოს“ 5 გურთი

გუშინ კიევში გაიმართა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის პირველი ქვეჯგუფის გუნდების მორიგი შეხვედრა ფეხბურთში. თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოსი“ და ერევნის „არარატის“ ფეხბურთელთა კოლექტივები.

მატჩი უკრაინელ ფეხბურთელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მთიანი დამჯერებელი გამარჯვებით ანგარიშით 5:0.

სსრ კავშირის თასზე

კიშინოვში „მოლდოვას“ და ალმა-ატის „კაირატის“ განმეორებითი მატჩი მოიგო „კაირატმა“ ანგარიშით 1:0 და გავიდა ნახევარფინალში.

ლეონიდ ბურთი და... სამი საქაღალდე

ლენინგრადი, 5 აგვისტო. (**საკდესის კორ.**). გუშინ ლენინგრადის „ზენიტმა“ ანგარიშით 3:1 დაამარცხა როსტოვის არმიელები. ბურთები გაიტანეს: დერგაჩოვმა (22-ე წუთი), რიაზანოვმა (71-ე წუთი), კროტკოვმა (79-ე წუთი) და როსტოველმა კოპაევმა (86-ე წუთი).

პირველი წუთებიდანვე თამაშს მიეცა მწვავე, უხეში ხასიათი. მატჩის მსაჯმა ვ. ბარაშკოვმა (მოსკოვი) ვერ მოახერხა წარემართა იგი ნორმალური კალაპოტით. ამის შედეგად არბილის სასპორტო კლუბის მოთამაშეები აფორნინი, ივანოვი და ზენიტელი ბელიკოვი საკაცეებით გაიყვანეს მოედნიდან.

ქუთაისელთა გამარჯვება

ქუთაისელი ტორპედოელები სტუმრად იმყოფებიან ბულგარეთში. პირველი მატჩი მათ გამართეს პლოვდივის რკინიგზელთა წინააღმდეგ და გაიმარჯვეს ანგარიშით 4:1. ბურთები გაიტანეს ტორპედოელებმა მიროშნიკოვმა — 2, კუტივაძემ და ხაჟალიამ. მორიგი ამხანაგური მატჩი გამართეს ჩეხოსლოვაკიაში ბაქოს „ნეფტიანიკის“ ფეხბურთელებმა. ისინი შეხვდნენ „სპარტაკს“. ამ ასპარეზობაში ანგარიში არ გახსნილა.

კვლავ „ვერ მისწვდნენ“ თასს

ძნელი ამოცანა ჰქონდათ დასახული ჩვენს ჩოგბურთელებს, რომლებიც გამოდიოდნენ საფრანგეთის ქალაქ ვიშიში, გალეს თასის გათამაშებაში — ევროპის ჭაბუკთა არაოფიციალურ გუნდურ პირველობაში. აგებდნენ რა ნახევარფინალურ მატჩს ჩეხოსლოვაკიის გუნდთან — 1:2 (რეგელმა ი. იუშკამ დაამარცხა მ. ხოლეჩეკი, თბილისელი ა. მეტრეველი დამარცხდა შ. კოუდელკასთან და წააგო ჩვენმა წყვილმა — ა. მეტრეველმა და ნ. მძინარიშვილმა), მათ უნდა მოეგოთ ორივე დარჩენილი ერთეული შეხვედრები, რათა ფინალში გასულიყვნენ. მაგრამ ეს ვერ მოახერხეს მათ. ი. იუშკამ მოიგო შ. კოუდელკასთან— 6:4, 3:6, 6:3. ა. მეტრეველმა წააგო მ. ხოლეჩეკთან — 6:8, 3:6. საერთო ანგარიშია 3:2 ჩეხოსლოვაკიელ ოსტატ ჩოგბურთელთა სასარგებლოდ, რომლებიც ფინალში შეხვდებიან იტალიელებს. (საკდესი).

სპორტული ქრონიკა

□ **რეკორდის მფლობელის რეკორდი.** იაპონელმა სატოკო ტანაკამ თავისი ქვეყნის ჩემპიონატზე 200 მეტრი გულაღმა გასცურა 2 წუთისა და 28,2 წამში. წინანდელი მსოფლიო რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა, აღემჩნებულა 0,3 წამით.



დაბრუნება წყვდიადიდან

• ათეისტურ თემაზე •

ჩემი მწირობის დასაწყისში შევეჩვიე მარტოობას, ჩემთვის აღარ არსებობდა მიწიერი სიცოცხლე, მთელი არსებით შევიასისხლხორცე უძრაობა, სიჩუმე და ფიქრი სულიერ უკვდავებაზე... უმეცრების დღეებში წარმოდგენილმა ფანტაზიამ სხეულის ფიზიკურ განლევამდე მიმიყვანა, ვიკვებებოდი გამხმარი პურითა და უვნებელი მცენარეულობის ნახარშით.

გერგეტის სამებაზე ჩემი ცხოვრების ერთფეროვანი დღეები მარხულობაში, ლოცვა-ვედრებაში, წიგნების კითხვასა და ხორცის გვემაში გადიოდა. რამდენიმე კვირაში შევისწავლე ხუცური დამწერლობა. ორი თვის თავზე თავისუფლად ვკითხულობდი „უამნს“, „დავითნს“ და სიძველისაგან დარჩილულ სხვა საეკლესიო წიგნებს“.

თ. ქუთათელაძე რაც უფრო ღრმად სწავლობდა ღვთისმეტყველებას, მით უფრო რწმუნდებოდა ქრისტიანული რელიგიის წინააღმდეგობრივ არსში. ადამიანში იღვიძებდა სალი გონება. თენგიზის სულს მოუსვენრობა, რწმენის მერყეობა და სიცოცხლის წყურვილი დაეუფლა. ემეკვლა ააფორიაქეს იგი. ქვეცნობიერ გრძნობებს მის სიწმინდეში შეჰქონდა „უწმინდურობა“, სულის წუხანელი, სინანულის ცრემლები...

„... ეშმარიტების მაძიებელს საკვირველება დამატყდა თავს. ღმერთს ეჭვის თვალით დავუწყე ყურება. თუ მანამდე სარწმუნოება ყველა მიწიერ სიკეთეზე უარს მთქმევინებდა, ახლა ქვეყნის შემოქმედი თავის სამპიროვნებით ისე ჩაიკვდებოდა, რომ მისი არარაობის შესახებ ეჭვები ჩემში თანდათან ღრმავდებოდა. გრძნობების ჭიდილში დამეკარგა სულიერი სიმშვიდე, ვეძებდი ჯანსაღი ცხოვრების გასაღებს, რელიგიის ლაბირინთთდან გამოსასვლელ გზას“...

ახალგაზრდა ღვთისმოსავში თანდათან მტკიცდებოდა ჯანსაღი და გაბედული აზრები, ნიადაგი ეცლებოდა რელიგიურ რწმენა-გატაცებას, იმედის თვალით და ხელაპყრობილი აღარ შეჰყურებდა ზეცას...

იგი გულწრფელად წერს: „შემიპყრო იმის სინანულმა, თუ რატომ მივმართე ასკეტურ ცხოვრებას, ჯანღონით სავსე ახალგაზრდამ რატომ დავკარგე ნამდვილი ცხოვრების საგზური, რამ დამინახა ატომისა და რაკეტების ეპოქაში გოლგოთა ისე, რომ ერთხელ არ შევეკითხე ჩემს თავს, რას ვეძებდი რელიგიაში?

ბოლოს ჩემს ყოფიერებაში სიცოცხლის ძლიერი წყურვილი და ეკლესიიდან გაქცევის სურვილი დაბინავდა. ეს სურვილი ისეთი სისწრაფით მიმაქანებდა სიბნელის წყვდიადიდან სინათლისაკენ, რომ მზად ვიყავი ეკლესიის საკურთხეველზე ავსულიყავი და სამღვდელოების გასაგონად მეყვირა:

— არ არის ღმერთი! ის შეთხზულია ისე, როგორც ინდოელებმა შეთხზეს მითი ბუდაზე, როგორც ებრაელებმა — იეღოვაზე, როგორც არაბებმა — მაჰმადზე!

— და თენგიზმა საბოლოოდ უკუაგდო ზეციური ძალებისადმი თაყვანისცემის რწმენა, გაიპარსა წვერი, გაიძრო შუა სახურეობრივ მოვალეობას, დღენიადაგ ზრუნავს ავადმყოფებზე, ხელოვნდება მედიცინაში, ემზადება სამედიცინო ინსტიტუტში შესასვლელად. იგი ამასთანავე აწყობს ანტირელიგიურ ლექციებ-საუბრებს, გულმოდგინედ სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს, თანამშრომლობს პრესაში, რადიოში.

თ. ქუთათელაძის სტატია „რატომ უარვყავი რელიგია?“ შარშან დაიბეჭდა ბროშურაში: „რელიგიის უარყოფა ერთადერთი სწორი გზაა“. ავტორი სინანულს გამოთქვამს დაკარგული წლებისათვის და წერილს ასე ამთავრებს:

— მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე მეყოფა მწარე მოსაგონებლად ის, რომ ახე უშედეგოდ, უშინაარსოდ და უნაყოფოდ დიდი დრო დავკარგე ზეციური წალკოტების მოლოდინში. იმ საბრალო ეგიპტელივით, რომელსაც უკიდეგანო უდაბნოში გზა არევია და ნილოსის ოაზისების მირაჟებში სული დაულევია... ესმოდეთ იმათ, ვინც უკვდავებას ეძებს, რომ ადამიანი მთელი თავისი ავკარგიანობით ბუნების შვილია და ბუნების წიაღშივე უნდა ჰპოვებდეს საზრდოს...

ამჟამად იმაზე მომხიბლავი არაფერი არ მეგულება ჩვენს ბაზრდოებელ პლანეტაზე, ვიდრე უყურებდე ჩვენს საზოგადოებაში შენი სასარგებლო შრომის ნაყოფს, შენს ოჯახს, მის მომავალს... ჩემი პატარა ოჯახის სიყვარული და იმის პათოსი, რომ ჩემი ნიჭი და ენერგია მოვახმარო საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, მავიწყებს ჩემს დონკიხოტურ წარსულს და მავსებს მომავლის რწმენით“.

თ. ქუთათელაძე წყვდიადიდან მიწას, სინათლეს დაუბრუნდა. მისი თავგადასავალი მაგალითი უნდა იყოს იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ რელიგიურ ბურუსშია, და იმათთვისაც, ვინც ახალგაზრდობის აღზრდას ემსახურება.

პ. ჭიოკაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჩხუბი ოკეანეში

თბილისი. „ოსტრომა“ სამშობლოში ბრუნდებოდა. ინდოეთის ოკეანეში ადამიანებს ითხოვდა. ცხობაში ნათქვამი იყო, რომ გემზე ჩხუბი ატყდა. სამმა მეზღვაურმა დანებით დაჭრა ერთმანეთი. ერთი მათგანი გრძნობადაკარგულიაო. კაპიტანი ითხოვდა სამედიცინო დახმარების აღმოჩენას.

საბჭოთა მეზღვაურები პირველნი გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას. ძლიერი შტორმის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა გადაეყვანათ ექიმი ინგლისის ტანკერზე. მაშინ გემის ექიმმა ბალინა პოპოვამ ჭრილობების ხასიათი გამოარკვია და დაწვრილებითი სამედიცინო კონსულტაცია მისცა. ხომალდის კაპიტანმა მხურვალე მადლობა გადაუხადა საბჭოთა მეზღვაურებს დახმარებისათვის.

(საააგენტო „ახალი ამბები“).

ჩვენი პლანეტის ამინდი

მზიანი იყო ივლისი სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში, სრულებით არ ჰგავდა შარშანდელს. თითქმის მთელ თვეს ცენტრალურ ოლქებში ტემპერატურა დაახლოებით 25 გრადუსი იყო, ზოგჯერ კი 30 გრადუსსაც აღემატებოდა.

ივლისმა სითბოთი გაახარა ბალტიისპირეთის მცხოვრებნიც. სამაგიეროდ კავკასიაში იშვიათი იყო დღე, რომ კოკისპირული წვიმები არ ყოფილიყო. და მთის მდინარეები ნაპირებიდან გადმოდიოდა. ხშირი და არაჩვეულებრივია წვიმები ყირგიზეთში. შუა აზიის დანარჩენ ნაწილში სიცხე ჭარბობდა. თერმომეტრი, ჩრდილში 40 გრადუსს უჩვენებდა.

დასავლეთ ციმბირში ცხელი დღეები უეცრად შეიცვალა მკვეთრი აცივებით. ჩრდილოეთის ქარებმა აქ მოიტანა ყინულოვნი დაფარული პოლარული აუზის სიცივე. ტომსკის ოლქში სუსტი ჭირხლი აღინიშნა.

აცივებამ მოიცვა ურალის მთისწინეთიც, საიდანაც გავრცელება იწყო ვოლგისპირეთში. მაგრამ ტემპერატურის დაწევა ალბათ დიდხანს არ გასტანს. აგვისტო ჩვენი ქვეყნის ევროპულ ნაწილში შედარებით თბილი და ზომიერად წვიმიანი იქნება...

სიცივეზე წარმოდგენა მუდამ დაკავშირებულია იაკუტიასთან. მაგრამ ზაფხულის დღეებში ასე როდია. ივლისში აქ სიცხე მეფობდა. ლატვიების ზღვის სანაპიროზეც კი აღინიშნა 23 გრადუსი სითბო, მისი დიდი ნაწილი კი ყინულებით არის შებოჭილი.

ივლისის უკანასკნელ დღეებში ციკლონის შემდეგ, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკიდან ისლანდიისაკენ გავმართა და ატლანტიკაში ქარიშხლიანი ამინდი გამოიწვია, საბრძოლისაკენ გაეშურა ცივი ქარები. მათი ტემპერატურა მხოლოდ 8 გრადუსია ხულს ზევით, 2 გრადუსით უფრო თბილია წყალი ოკეანეში. მაგრამ სანამ ეს ქარები მიაღწევდეს დასავლეთ ევროპას, სადაც ძალიან ცხელა, და ნაპატრ სიგრილეს მოიტანდეს, ჰაერი გათბობას მოასწრებს.

ყველაზე მაღალი ტემპერატურა, ალუს 49 გრადუსი, რეგისტრირებულია სამხრეთ ირანში, სპარსეთის ყურეს სანაპიროზე; ოდნავ ნაკლებია ერაყში. აფრიკის უდაბნოებშიც კი ნაკლები სიცხე იყო.

ჩრდილოეთ ამერიკაში ტემპერატურა მერყეობს 26-დან 34 გრადუსამდე, აქა-იქ ელჭექიანი წვიმებია. მხოლოდ ჩრდილოეთ კანადაში თოვს.

რა ხდება სიცივის მსოფლიო პოლუსზე — ანტარქტიდაში? ახლა ძნელიც კია წარმოვიდგინოთ, რომ სადგურ აღმოსავლეთში ყინვა მინუს 73 გრადუსს აღწევს! და მაინც ეს როდია ყველაზე დაბალი ტემპერატურა, რომელიც ოდესმე აღინიშნულა ჩვენს პლანეტაზე. აქვე 1960 წლის 24 აგვისტოს რეგისტრირებული იყო მინუს 88,3 გრადუსი.

პოლარული ღამე ჩამოწვა ყინულოვან კონტინენტზე. ხშირია ქარბუქი, მოზამთრენი კი რეგულარულად აწარმოებენ მეცნიერულ კვლევას, გადმოსცემენ ცნობებს ამინდის შესახებ. საბედნიეროდ, სამხრეთი ნახევარსფეროს კონტინენტებს გიგანტური მაცივრისაგან ოკეანის ვეებერთელა სივრცეები ჰყოფს.

ლიდია ნერონოვა,

პროგნოზების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

ყურადღება:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია

ამით აცხადებს, რომ მშრომელთა, მოსწავლეთა და სხვა **ორგანიზებული ექსკურსიები** დაიშვება ობსერვატორიაში მხოლოდ **შაბათ და კვირა** დღეებში, მაგრამ ისიც მხოლოდ **წინასწარ შეთანხმებისა და საათის დანიშვნის საფუძველზე,** რაც უნდა ხდებოდეს ობსერვატორიის დირექციასთან წერილობით ან ტელეფონით მოლაპარაკების წესით.

ტელევიზია

6 აგვისტო

12.00 — კინონარკვევი, 12.20 — მხატვრული ფილმი „მეფის შვილები“, 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — ახალი ამბები, 18.15 — ყველაზე პატარებისათვის — „ზღაპრების სკივრი“, 18.25 — „პიონერული ახალი ამბები“, 18.40 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ჩიპოლინო“, 19.20 — გადაცემა — „ალაგირელები“, 19.45 — კინონარკვევი, 20.05 — განცხადებები, 20.10 — გადაცემა ციკლიდან — „მომძე რესპუბლიკების მუსიკალური კულტურა“ — ესტონეთი, 20.50 — მხატვრული ფილმი „არსენა“, 22.20 — ახალი ამბები.

6 აგვისტო

ქინო

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო), ისანი (საზამთრო), საქართველო (მწვანე დარბაზი), გორკის სახელობის კულტურის სახლი (საზაფხულო), ოფიცერთა სახლი, კიროვის სახელობის პარკი, კომუნალური მეურნეობის კულტურის სახლი — რუსული სასწაული (I სერია), **ამირანი** (საზაფხულო), **გზაფხული** — სამი პლუს ორი, **ოქტომბერი,** ფილარმონიის ბაღი, საქართველო (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო), **ვაკის პარკი, ნაკადული** — დიდება და პატარები, **სპარტაკი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **კოსმოსი** — წარსულ ზაფხულს, **ისანი** (საზაფხულო) — მერძევე ჰილია, **თბილისი** — თუ ამხანაგი მოგიზმობს, **კომკავშირელი, 26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **კოლხიდა** (საზაფხულო), **ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალური პარკი** — ხელშეუხებელი (I-II სერია), **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი) — ფიცის გამტეხი, **26 კომისრის სახელობის** (საზაფხულო) — ზოლიანი რეისი, **საქართველო** (საზაფხულო) — ხვალინდელი საზრუნავი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** (საზამთრო) — გული მღერის, **კოლმეურნე** — ნარინჯის ვალი, **დიდუბე** (საზამთრო) — მადმუაზელ ნიტუში, **დიდუბე** (საზაფხულო) — ორი ბატონი №, **ყაზბეგი** (მეორე დარბაზი) — ვიდრე ჩემთან ხარ, **თანამგზავრი** — ქალი XVIII, **მზიური** — ხუანი გალიო.

7 აგვისტო

პირველი პროგრამით

06.40 — სიმღერები სამშობლოზე, 08.25 — ქართული ხალხური მუსიკა, 10.45 — ლექსები კოსმოსის გმირებზე, 11.15 — საოპერეტო მუსიკის კონცერტი, 12.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის, 12.25 — კონცერტი მოცარტის ნაწარმოებებიდან, 13.40 — ებრაული ხალხური სიმღერები, 17.15 — ფრაგმენტები შ. თაქთაქიშვილის ბალეტ „მალთაყვადან“, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ე. გაბაშვილის მოთხრობა „ღვინია გადაიჩეხა“, 18.10 — საბჭოთა კომპოზიტორების მსუბუქი მუსიკა, 18.45 — ქართული რომანსები ზ. ანჯაფარიძის შესრულებით, 19.15 — სიმღერები ტ. მახარაძისა და გ. ბუღაძის შესრულებით, 19.30 — საუბარი — „ადამიანი და ზღვა“, 20.15 — ხაჩატურიანი. „ოდა სიხარულისა“, 20.30 — „თბილისი, ბაქო, ერევანი“, 21.00 — „ძალისპირული“, 21.15 — საგუნდო სიმღერები ქართული ოპერებიდან, 21.30 — ხ. ბერულავას ლექსები, 22.00 — „უკრავს შტროსის კამერული ორკესტრი“, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

მეორე პროგრამით

20.20 — კამერული მუსიკა, 20.30 — საუბარი რუსულ ენაზე — „გეგმა და ცხოვრება“, 20.45 — ივანჩეკი. ოპერა „მისი გერი“.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

კომუნისტი Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03 8-08-67 ბ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 8-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61 მარქსისტულ-ლენინური თეორიის პრობლემების — 8-22-98, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. დ. სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, იხფორმაციის — 8-16-90, წერილების — 9-73-24, საილუსტრაციო — 8-20-43, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

ШЭ 01146

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

რედაქტორი

**